საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფუილებით და ჭოჭებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 9 ნოემბერი. 2016 წ. №209 (8101), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

კიბოს წარმომქმნელნი...

ეწერალი ჯალსა სდგს!..

ნაირა გელაშვილი:

ბრწყინვალება და სილატაკე „არასამთავრობო სექტორისა“

მართალია, ფაქტი, რამაც ამ წერილის დაწერა გამოიწვია, უახლოეს წარსულში დარჩა, მაგრამ პრობლემები, რომელსაც მწერალი ნაირა გელაშვილი ეხება, კარგა ხანია, დგას და მუდამ იდგება ჩვენი საზოგადოების წინაშე, კერძოდ: რატომ უჭერს ამდენი ადამიანი მხარს ძალადობას, რატომ აქვს ამდენ ადამიანს სურვილი, იძალადოს მეორეზე.

გავიხსენოთ: არასამთავრობო სექტორის ორმოცდახუთმა წარმომადგენელმა მოუწოდა ამომრჩევლებს,მეორე ტურში ხმა მიეცათ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატებისთვის. და ამომრჩევლებმა რომ არ დაუჯერეს და არ დადგნენ მ. სააკაშვილის დანაშაულებრივი სისტემის მხარეზე, ეს ალბათ იმ წერილის დამსახურებაცაა, „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ დაიბეჭდა: მადლობა ჩვენს გონიერ მკითხველს და ქალბატონ ნაირა გელაშვილს.

დღეს გთავაზობთ მწერლის ახალ პუბლიცისტურ ნააზრევს.

იხ. 6 გვ.

კლინტონი თუ ტრამპი...

ეს დღეს გვეცოდინება! 5



ჟამი ქვათა განფანტვისა 9

აკუკები და მაკუკები

სად მიდის ქართული და უკრაინული პოლიტიკის მესაფლავე? 8

სოციალური სფერო 3

დღევანდელი ეკონომიკით ევროპას როდის დავეწევით?!

საქართველო ბიზნესის დაწყებისთვის საუკეთესო ქვეყნების TOP ათეულშია

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა ვიდეო, სადაც ბიზნესის დაწყებისთვის საუკეთესო ქვეყნებია წარმოდგენილი. ეს შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგს, რომლის მიხედვით საქართველო ტოპ ათეულში მე-8 ადგილს იკავებს და წინ უსწრებს ირლანდიასა და სომხეთს. ვიდეოკოლაჟში აღნიშნულია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბიზნესის კუთხით საქართველომ საკუთარი მაჩვენებელი გააუმჯობესა და 2 ადგილით დაწინაურდა.

პოროშენკო სააკაშვილს ხატია დეკანოიძეს ადარებს...

„უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს კარგად მოეხსენება, რომ მე არ მიმიღია უშუალო მონაწილეობა საქართველოს არჩევნებში და სურვილის მიუხედავად, ამის გაკეთება არც შემეძლო, რადგან უკრაინის მოქალაქე ვარ. მასზე უკეთესად არავინ იცის, რომ ჩემი შედარება დეკანოიძესთან და სხვა „მოწვეულ“ ქართველებთან არაკორექტულია. ჩემს წარმომავლობაზე აპელირება ავაკოვისა და მისი მსგავსი მოღვაწეების მეთოდს ჰგავს. მე კი ვისურვებდი, რომ პრეზიდენტი ასეთ რიტორიკაზე მაღლა იდგეს. მე და პეტრო პოროშენკო, პრაქტიკულად, ერთ დროს ჩავედით უკრაინაში, მე საქართველოდან, ის — მოლდოვადან. უკრაინის მოქალაქეობის მონიჭებისთვის მისი მადლობელი ვარ. ასე რომ, ყველა უნდა შეეგუოს, რომ მე ვარ უკრაინელი პოლიტიკოსი და გავიმარჯვებ ან დავმარცხდები არა საქართველოში, არამედ უკრაინაში. პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ მე ჯერ კიდევ 6 თვის წინ მინდოდა წასვლა, მაგრამ მან გადამაფიქრებინა. მან დამიყოლია რეფორმების გაგრძელების დაპირებით, უბრალოდ, ამჯერად მე უკვე აღარ მჯერა დაპირებების და საქართველოს არჩევნები არაფერ შუაშია“, — წერს სააკაშვილი.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით გუშინ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სააკაშვილმა საქართველოს არჩევნებში დამარცხების შემდეგ, უკრაინაში პოლიტიკური აქტიურობის დაწყება გადაწყვიტა.

თავძარიანი მიშა უკან არ იხევს და... უკრაინული პოლიტიკური ელიტის შეცვლას აპირებს...

მეტი არაა ჩემი მტერი, მიშამ უკრაინის აყირავება შეძლოს!

ადვოკატებზე ნებისმიერ ზეწოლას განვიხილავ იმ ღირებულებებზე ზეწოლად, რომლის დაცვასაც კონსტიტუცია გვავალებს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ადვოკატის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეწვია და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განახლებული და აღჭურვილი სასწავლო ცენტრი გახსნა.

პროექტი „იურიდიულ პროფესიაში შესვლის, ახალი სტანდარტების დანერგვის რეფორმის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა“, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა, მიზნად ისახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციურ განვითარებასა და ადვოკატის სავალდებულო სტაჟირების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ადვოკატთა ასოციაციისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აღნიშნული პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის და აღნიშნა, რომ ადვოკატთა სასწავლო ცენტრი ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებას ემსახურება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში შედგეს სამართლიანი საზოგადოება, სამართლიანი სასამართლო, შედგეს სამართლებრივი სახელმწიფო.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა ადვოკატთა კორპუსს მისი პატივისცემა და მხარდაჭერა.

„ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც რაიმე ტიპის ზეწოლა იქნება ადვოკატებზე, თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, მე განსაკუთრებით მხარს გიჭერთ, თქვენს გვერდით ვდგავარ და მზად ვარ გავაკეთო შესაბამისი პოლიტიკური განცხადებები, რადგან ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

სასწავლო ცენტრში სტუმრობისას გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით დააჯილდოვა.

ვინ დაიჭერს მიშას?

საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგომას ეხმაურება და ამბობს, რომ სააკაშვილი უკრაინაშიც გაკოტრებული პოლიტიკოსია და ის ქართული სასამართლოს წინაშე წარდგება.

„მიხეილ სააკაშვილი უკვე უკრაინაშიც არის გაკოტრებული პოლიტიკოსი, საქართველოში ის არის უბრალოდ ძებნილი, რომელსაც ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩამოვიყვანთ და წარდგება ქართული სასამართლოს წინაშე. მაგრამ, ეჭვი მაქვს, ტაციაობა იქნება რომელი ქვეყნის სასამართლოს წინაშე წარდგება — საქართველოს, უკრაინის თუ შეიძლება, კიდევ სხვაც მიემატოს. მე მაინც მგონია, რომ პირველად იქ აგებს პასუხს, სადაც ყველაზე მეტი დანაშაული ჩაიდინა, ანუ საქართველოს სასამართლოში“, — განაცხადა სუბარმა.

თუ ხელისუფლების ნება იქნება...

საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ჩვენს პარლამენტარებს დღესვე შეუძლიათ, საქართველოში ევროპული ტიპის სახელმწიფო ჩამოაყალიბონ...

საქართველოში **რამდენი ადამიანიცაა, იმდენი მოთხოვნა აქვს ახალი მოწვევის პარლამენტის მიმართ. თუმცა ჩვენს პარლამენტარებს მათი პრობლემებისთვის სცალიათ თუ არა, ეს მეორე საკითხია. არადა, ჩვენი საზოგადოების ნაწილისთვის მნიშვნელოვანია მუსიკა-რესტორნების შესახებ კანონი, რომელიც ძველმა პარლამენტმა ჩააგდო და ღამის საათებში ძველ უბნებში ხმაური ისევ მოსვენებას უკარგავს ადამიანებს. ზოგისთვის პრიორიტეტულია ცვლილებები ოჯახის ინსტიტუტთან და პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ამას ემატება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო პროფილის ექსპერტთა მოსაზრებებიც.**

უკვე ცნობილია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი 19 ნოემბრიდან, პირველ რიგში, იმ კანონპროექტების მიღებას შეუდგება, რომლებმაც გარკვეული ეტაპები უკვე გაიარეს და დასრულების სტადიაშია. მაგალითად, დაგროვებითი პენსიის შემოღებასთან დაკავშირებით საპარლამენტო განხილვები დასრულებულია. სავარაუდოდ, ასევე, მიიღებენ კანონს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რაც მომხმარებელს შეძენილი პროდუქციის შვიდ დღეში დაბრუნების საშუალებას მისცემს. თამბაქოს მოხმარების შესახებ კანონშიც შევა ცვლილებები, რადგან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევას კრძალავს.

აღნიშნული ცვლილებების გარდა, კიდევ რომელი საკითხებია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და საჩქაროდ გადასაწყვეტი ამ მოწვევის პარლამენტისთვის?!

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** თავდაცვის პოლიტიკაში სტრატეგიის შემუშავებას ამ მოწვევის პარლამენტის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს. იგი აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის გამოკვეთილი პოლიტიკა არ გაჩნია, ეს პოლიტიკა ნულის დონეზეა და შეიარაღებულ ძალებში ტრაგიკული ინციდენტებიც იმ პროცესის კანონზომიერი შედეგია, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2006 წლიდან მოყოლებული დღემდე, ანუ ათი წლის განმავლობაში ვითარდებოდა. ეს არის ჩაშვებული და უპასუხისმგებლო პოლიტიკური მიდგომა.

„პარლამენტმა თავდაცვის პოლიტიკა უნდა შეიმუშავოს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შესაცვლელია. სამხედრო დოქტრინის პრინციპები გადასახედია. ასევე, უნდა მოახდინონ თავდაცვის ბიუჯეტის რეკორექტირება, უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ სამხედრო-საბრძოლო მომზადების მიმართულებებზე. უნდა ჩატარდეს ანალიტიკური ტიპის სამუშაოები, რათა გავაანალიზოთ, რა ამოცანები დავუსახოთ შეიარაღებულ ძალებს, რომ ეს ამოცანები შესრულებადი და თავსებადი იყოს. ასევე, პარლამენტმა უნდა გააააქტიუროს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიმართულება.

მთელი კანონებია შესაცვლელი. თუნდაც კანონი შეიარაღებული ძალების შესახებ, კანონი თავდაცვის შესახებ, ასევე, საყარაულო წესდების ელემენტებში უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა, რადგან ამ მხრივ სერიოზული გადაცდომებია. საყარაულო პრობლემა მარტო კრწანისის ბაზაზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტით არ ამოიწურება. ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ჩვენი ათი სამხედრო დაიღუპა, რადგან დიდი გადაცდომები იყო საყარაულო მოწყობის კუთხით.“

ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** ირონიულად უყურებს ამ მოწვევის პარლამენტართა მზაობას საჩქაროდ გადასაწყვეტი პრობლემების მოგვარების კუთხით.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია შრომის ინსპექციის, შრომის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, დაუცველი საზოგადოების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები. ვფიქრობ, საარჩევნო კოდექსზე ახლავე უნდა დაიწყონ მუშაობა, რადგან მაინც არჩევნების ტალღაზე არიან მოსული. თუმცა, მაინც მგონია, რომ ჩვენი პარლამენტარები უფრო საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობას შეუდგებიან, რამდენადაც „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობითაა მოსული. არა მგონია, „ქართულმა ოცნებამ“ არაპოპულარული თემებით დაიწყოს – საჯარო სამსახურებში გაზრდილი შტატების შემცირებით, რადგან დღესაც ჩვეულებრივი პარტაქტივისტური მიდგომებია. საჯარო უწყება კი, ერთადერთი სივრცეა, რომელიც აქტივისტებისა და საარჩევნო კამპანიაში დამხმარე ადამიანების დასაქმების საშუალებად რჩება. ამდენად, განახლებულ რეჟიმში ახლად მოსული ხელისუფლება, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესების, საკუთარი ადამიანური რესურსებისა და მათ ინტერესებზე მორგების პროცესს შეუდგება“, — აცხადებს არჩილ გამზარდია.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ ორივე საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური ვითარება, ისე პოლიტიკური. ამდენად, პირადად იგი დღევანდელი პარლამენტარების ადგილას რომ იყოს, პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურებისა და, მთლიანად, სახელმწიფოს მოწყობას დაიწყებდა, რაც კონსტიტუციისა და სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმირებას გულისხმობს.

„მათ აქვთ საკონსტიტუციო უმრავლესობა და შეუძლიათ საქართველოში დღესვე ჩამოაყალიბონ ევროპული ტიპის სახელმწიფო. თუ ამის პოლიტიკური ნება ექნებათ, ეს განხორციელებადია. ეს არის სამუშაო პროცესი, რაც სახელმწიფო სტრუქტურების ოპტიმიზაციას, კონცეპტუალური გააზრების (და არა მექანიკური შეერთების) ხარჯზე სამინისტროების შეკვეცას, მცირე სახელისუფლებო ბიუროკრატიას გულისხმობს. მიზანი უნდა იყოს ხელისუფლების ეფექტურობის გაზრდა და ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს პარლამენტის ქუთაისში და საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანას, დეცენტრალიზაცია ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილების გადანაწილებას, რომელიც უნდა გადავიდეს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დონეზე“, - აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ, მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, მაგრამ მისი მხარდაჭერა მოსახლეობაში 50%-ზე ნაკლებია. ეს დისბალანსი სანამ იქნება, მანამ ერთპარტიულობის პრობლემა გვექნება საქართველოში. თუმცა იქნება კი ხელისუფლება მზად, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები მოაგვაროს?! პოლიტოლოგი ეჭვობს, რომ ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის.

„ეს თემები სასწრაფოდ გადასაწყვეტია. 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში ერთი წელი მაინც დასჭირდება მთლიანად კონცეფციის შემუშავებას. არ არის აუცილებელი, პარლამენტმა ამ თემებზე ყოველდღიურად იმუშაოს, უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო თუ სახელმწიფო მოწყობის ჯგუფი და, როცა რაღაც მასალა მომზადდება, შემდეგ ჩაერთოს პარლამენტი, როგორც განმხილველი ორგანო. ეს დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, თუ ჩვენ გვინდა ძვეყანაში ეკონომიკურად, სოციალურად და სამართლებრივად მყარი, სტაბილური სახელმწიფო სტრუქტურები მივიღოთ. წინაალმდეგ შემთხვევაში, დღეს ყველა ვმკითხაობთ იმაზე, ხელისუფლება დარჩება ამ ველში, რომელიც ჯერჯერობით დემოკრატიული და თავისუფალია, თუ წავა ავტორიტარიზმისკენ?! პრობლემა არის ის, რაც გვძონდა 2003-ში, 2008-ში, 2012-ში. ეს პრობლემა საქართველოში დღემდე ინსტიტუციურად ვერ მოგვარდა. ახლაც ვერ მოგვარდება, თუ ხელისუფლების ნება არ იქნება. ამის გარეშე გამორიცხულია, რომ ეკონომიკაში რეალურ წინსვლას მივაღწიოთ“.

მანანა ნოზაძე

დღევანდელი ეკონომიკით ევროპას როდის დავეწევით?!

ასეთი ტემპით თუ ვიარეთ, ტყუილი იმედი გვექნება, რომ ევროპას როდისმე დავეწევითო, — „გვაიმედებენ“ ჩვენი ეკონომიკის ექსპერტები. აღარაფერს ვამბობ სამომავლო პროგნოზების გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ მიშნაცებზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქოცებმა მათ მიერ ნაშენებ ეკონომიკას მთელი 4 წლის მანძილზე ხარკამეჩების გუთნით გადაუარეს და სამუდამოდ მიწასთან გაასწორეს. ისე, კაცმა რომ თქვას, იმ ალიყურის შემდეგ, რაც ნაცებმა ოქტომბრის არჩევნების წყალობით იგემეს, შუბლის ძარღვი თუ მთლად გაწყვეტილი არა აქვთ, ცოტა ხნით მაინც უნდა დადუმებულიყვნენ, მაგრამ მათ გაჩუმებას აბა რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს(!).

მით უფრო ახლა, თუ ყოველდღიური გაუფასურებით კომაში ჩავარდნილმა ლარმა ნაცებს ახალი საკბილო გაუჩინა? ლარი საშუალოვადიანი დევალვაციის პერიოდიდან ვერა და ვერ გამოვიდა, ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები ქვეყანაში საიმედო ნიშნულზეა და უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ ვალუტის კურსის გამყარებასო. ნაცმანიაკები აბა რის მანიაკები არიან, თუ ამ მომენტს ხელიდან გაუშვებენ და ქოცებს არჩევნებში გამარჯვებით მიღებულ სიამოვნებას შხამად არ ამოადენენ?

— არ დაიჯეროთ, ხალხო, — გაჰყვირიან ნაცები თავიანთ საჯარო და სატელევიზიო გამოსვლებში, — ხელისუფლება ჩვენ ყველას ნაცარს გვაყრის თვალებში, როცა აცხადებს, რომ ეკონომიკური პარამეტრები ლარის გაუფასურების საბაბს არ იძლევა. თუ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია და ლარი მაინც უფასურდება, გამოდის, რომ დამნაშავეა თავად უნიათო, უქნარა და არაპროფესიონალური კადრებით დაკომპლექტებული მთავრობა, რის შესახებაც მთელი წლებია, ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩაძინებული ხელისუფლება სიზმრიდან მაინც ვერ გამოვიყვანეთო.

მარცხით გაავზნევებული (აქამდეც უზნეობით სახელგავარდნილი) ნაცებისგან სხვა რას უნდა მოველოდეთ, თუ არა ქოცების უკეთებ-ნაკეთები საქმეების გაქიაქებას. **აი, სულ სხვა სურათს გვთავაზობენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს მთავრობის წარმატებულ ნაბიჯებზე დამაჯერებლად საუბრობენ. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მან 23-დან მე-16 ადგილზე გადაინაცვლა. სასიხარულო ფაქტია, რომ საქართველო იმ მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს. ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის შეფასებით, საქართველოს წლევანდელი წარმატება განაპირობა მთავრობის კოორდინირებულმა და ეფექტიანმა მუშაობამ. მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მხრივ აღიარებული 5 რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის კვლავ 10 ტოპ-რეფორმატორს შორისაა, ჩვენი ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესებულია 7 ინდიკატორში და 11 კომპონენტში, ხოლო სარეიტინგო ქულა — 7 ინდიკატორში.**

რა თქმა უნდა, მსოფლიო ბანკი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთ შეფასებას ჰაერზე არ იძლევიან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, დადებითი ნახტომი, რაც მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისთვის, რომელიც ფიქრობს საქართველოში ინვესტირებას. ბიზნესის წარმოების სიმარტივით საქართველო 190 ქვეყანას შორის ხომ მე-16 ადგილზეა. თუ არჩევნებს მოვიგებთ, — განაცხადა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, — უკვე პირველი ნოემბრიდან საქართველო აგუგუნდება!

— საქართველოს მართლაც აქვს აგუგუნების შანსი, — აცხადებს ბიზნესმენი გოგი თოფაძე, — ჩვენ დღეს 3-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს მაშინ, როცა ჩვენს სამეზობლოში კრიზისია — აზერბაიჯანიც, რუსეთიც და თურქეთიც საკმაოდ ჩამოგვრჩებიან. ჩვენი შედეგი ცუდი არ არის, მაგრამ არც საკმარისია. კარგი შედეგი გვექნება მაშინ, როცა ეკონომიკური ზრდა 7-8 პროცენტს მიაღწევს, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტში თანხა გაორმაგდება, გაორმაგდება პენსია და სოციალური დახმარებებიც.

რახან ავგუგუნდებით, ალბათ, იმის პრეტენზიაც გაგვიჩნდება, მეწარმეობა, ბიზნესი ისე განვავითაროთ, რომ ამერიკას თუ არა, ევროპას მაინც დავეწიოთ. ამის ერთგვარი წინაპირობები იქმნება, იმის გარდა, რომ საქართველომ ბევრ საერთაშორისო რეიტინგში პოზიციები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა, ამასთან, 2015 წელს უმუშევრობა ბოლო 12 წლის მინიმუმზე დაფიქსირდა. ამ წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 1,75 მილიონს გადააჭარბა, რის შედეგადაც უმუშევრობის მაჩვენებელი 12 პროცენტამდე შემცირდა. ასევე შემცირებულია კორუფციის დონე, გლობალური კორუფციის ბარომეტრის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 42-მა პროცენტმა დაადასტურა ქრთამის ფაქტი, რა მაჩვენებლითაც ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი წარმატებულია მსოფლიოში.

მაგრამ განა ეს ყველაფერი საკმარისია იმისთვის, რომ მოწინავე ევროპული ქვეყნების რიგში დავიკავოთ ადგილი? რა თქმა უნდა, არა. **მიუხედავად იმისა, რომ 2012-2016 წლებში ბევრი ეკონომიკური პარამეტრი გაუმჯობესდა, საქართველოს მთავარ პრობლემად კვლავ რჩება დაბალი ეკონომიკური ზრდა, რაც ქვეყანაში ცხოვრების დაბალ დონესთან პირდაპირ კავშირშია. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყანა კვლავ რჩება ევროპაში ბოლოდან მესამე ადგილზე. ამ შედეგით საქართველო თითქმის 8-ჯერ ჩამორჩება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს.**

მართალია, ბოლო ათწლეულში (2005-2015) საქართველოს საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 5,1 პროცენტი შეადგინა, რითაც ის ლიდერია რეგიონში, მაგრამ განვითარებადი ქვეყნისთვის ეს მაინც დაბალი მაჩვენებელია, მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში ეკონომიკის მატებამ საგრძნობლად იკლო. თუ წინა 3 წელიწადში ყველაზე მაღალი კვარტალური ეკონომიკური ზრდა 2013 წლის მე-3 კვარტალში დაფიქსირდა (მშპ 7,6 პროცენტით გაიზარდა), 2016 წლის პირველ კვარტალში მატებამ 2,6 პროცენტი, ხოლო მეორეში — 3 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ 2,8 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა მცირედით ჩამორჩება სომხეთს (3 პროცენტი) და რეგიონში უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

თუმცა, იმით თავის მოწონება, რომ რეგიონში წარმატებულები ვართ, ვერც კუს ნაბიჯით მოარულ ეკონომიკას ამოსწევს, ვერც მშიერ ხალხს დააპურებს და ვერც ლარის მორბენალ კურსს დაასტაბილურებს. ეკონომიკის ექსპერტთა ანალიზით, იმისათვის, რომ ევროკავშირის ყოველწლიურად 2 პროცენტით ეკონომიკის მზარდ ქვეყნებს დავეწიოთ, ჩვენ მინიმუმ 7-8 პროცენტით მაინც უნდა გავზარდოთ ეკონომიკა. საშუალო 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი 50 წლის შემდგომ საქართველოს ეკონომიკა საშუალო ევროპულ დონეზე 2-ჯერ ნაკლები იქნება, აი, 10-პრცენტიან ზრდას თუ მივაღწიეთ, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ დაწევის პერიოდი 25 წლამდე შემცირდება(!).

ეკონომიკამ რომ სწრაფად მზარდ განვითარებას მიაღწიოს, ხელისუფლებამ აქცენტი ადგილობრივი წარმოების ზრდაზე უნდა აიღოს, ჩვენ კი ვართ ქვეყანა, რომელიც საზღვარგარეთიდან უფრო მეტს ყიდულობს, ვიდრე ყიდის. დღეს ქვეყნის საწარმოთა მთლიანი ბრუნვა შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი — 81,8 პროცენტი, საშუალო ბიზნესი — 8,7 პროცენტი, მცირე ბიზნესი — 9,4 პროცენტი, რაც იმის დასტურია, რომ ეკონომიკაში ვერ ხერხდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილის გაზრდა. პრაქტიკა კი გვიჩვენებს რომ, რაც უფრო მაღალია ხსენებულ საწარმოთა წილი ეკონომიკაში, მით მეტია ქვეყანაში სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიის ხარისხი.

ისედაც სუსტ ეკონომიკას ღონესა და რესურსებს აკარგვინებს პერმანენტული საბიუჯეტო დეფიციტი, რასაც ოპოზიციის (და არა მარტო ოპოზიციის) მტკიცებით იწვევს გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატის, ხელისუფლების მოხელეთა პრემია-დანამატებისა და სხვა ხარჯებისთვის გადაყრილი მილიონები. სწორედ ამის შედეგია მთავრობის მიერ წელს დაგეგმილი 200 მილიონის ნაცვლად 211 მილიონი (ნაცები გაცილებით მეტს ედავებიან) შიდა ვალის ქვეყნისთვის წამოკიდება. სპეციალისტთა აზრით, შიდა ვალი თავის მაღალპროცენტიანობით არის ეკონომიკისთვის გაცილებით ზარალიანი, ვიდრე საგარეო ვალი, რომელსაც ქვეყანაში შემოაქვს უცხოური ვალუტა და დადებითად მოქმედებს ლარის კურსის სტაბილურობაზე.

არა მგონია, ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალის ფუნქცია ხელისუფლების ლანძღვა-გინებით, მისთვის უქნარისა და უნიათოს გაუთავებელი შეძახილებით ამოიწურებოდეს, ხოლო მთავრობისა — ნაცების ნასროლი ქვებისგან თავის დაცვით. განვლილმა ოთხმა წელმა სწორედ ნაცებისა და ქოცების ამ ამაზრზენი კინკლაობით მოაბეზრა ხალხს თავი. მომდევნო ოთხი წელი მაინც აღარ უნდა დავკარგოთ წარსულის განსჯაზე და „ნაციონალებთან“ უაზრო ბრძოლაზე, რადგან ქვეყანაში თუ სწრაფად არ განვითარდა ეკონომიკა, ხალხი არ დასაქმდა და საკუთარ ჯიბეზე არ იგრძნო უკეთესობა, უახლოეს პერიოდში საქართველო დაიცლება მოსახლეობისგან, ანდა ჩრდილოელი მეზობლის მორიგი ვერაგობის მსხვერპლი გავხდებით. საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულმა ხელისუფლებამ პრიორიტეტად სწორედ ეს კურსი უნდა დაისახოს და არა ოდენ ნატოსთან დაძმობილება და ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრირება.

ოთარ ხუციშვილი

ტექდათვალიერება სავალდებულო ხდება

2017 წლიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება სავალდებულო ხდება.საქართველოს მთავრობა ავტომანქანების სავალდებულო ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო კომპანიას დაიქირავებს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტესტირების ამოქმედების მიზნით, საქართველოს მთავრობა ინტერესთა გამოხატვას აცხადებს. ინტერესთა გამოხატვის წარდგენა ეკონომიკის სამინისტროში მიმდინარე წლის 8 დეკემბრის ჩათვლით მოხდება. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა, პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა საერთაშორისო კომპანიას შეეძლება, რომელსაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დანერგვის გამოცდილება ექნება“, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა. მისი თქმით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტესტირება მოქალაქეებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, ავტოსაგზაო შემთხვევების ნაწილი სწორედ ავტომობილების გაუმართაობის გამო ხდება.

ბაქოში 49 ევროდ გაფრინდებით...

აზერბაიჯანული ლოუქოსტერი AZALJET-ი ბაქო-თბილისის მიმართულებაზე ექსკლუზიური შეთავაზების შესახებ აცხადებს.

როგორც AZAL-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, რომლის შვილობილიც AZALJET-ია, ბაქო-თბილისის მიმართულებაზე და პირიქით (ერთი გზა) ფრენის ღირებულება 49 ევროა, რომელიც ძალაში ნოემბრის ბოლოდან შევა.

„ეკონომ კლასის ტარიფი ერთი მიმართულებით 49 ევროს შეადგენს. ბილეთების შეძენა კი შესაძლებელია ვებგვერდიდან www.azal.az“, — აღნიშნულია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჩვენი არსობის მთავარი პროდუქტის ხარისხსაც კი არავინ ამოწმებს!!!



რუხი პურის შესახებ მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობაა, ხომ არ არის ეს პური ქიმიურად შეფერილი? სპეციალისტები ამბობენ, რომ, მართალია, ბუნებაში არსებობს რუხი ფქვილი, მაგრამ ბევრი საცხობი იყენებს სხვადასხვა დანამატს. ეს დანამატები დღეს დაშვებულია მთელ მსოფლიოში, რათა უფრო გაამუქოს ფქვილი. კერძოდ, დანამატად იყენებენ ფერმენტირებულ ალაოს, ასევე, სხვა დანამატებს, რომლებიც გემოვნურ თვისებებს უცვლის პურს.

აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში პური იღებება. სხვანაირად შეუძლებელია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ძალზე ცოტა რაოდენობით შემოდის ჭვავის ფქვილი.

უფრო მეტიც, იმის გამო, რომ კილოგრამი შავი ფქვილის ფასი ოთხი ლარია და მისი შემოტანა ძვირი ჯდება, შავი პურის უმეტესობა შეღებილია. უცხოეთიდან შემოტანილი ფქვილის 80% კი ქიმიურ დანამატებს შეიცავს, რომელიც ქოლესტერინის სახით ილექება სისხლძარღვებში. ამდენად, პური მარგებელი კი არა, მავნებელი გახდა.

პურთან დაკავშირებული აჟიოტაჟი რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა ლიტვური შავი პურის ფოტოებმა განაპირობა. ორფეროვანი პურის გულის დანახვისას მოსახლეობამ იფიქრა, რომ ლიტვური პური შეღებილია და მისი დამზადების „მაღალი ტექნოლოგიის“ შესახებ ცნობები არადამაჯერებელია. ამას მოჰყვა ლიტვური საცხობის საგანგებო განცხადება, სადაც განმარტებულია, რომ ლიტვური პური არ იღებება და წარმოების პროცესში, ცომის საჭრელ დანადგარში თეთრი და რუხი ცომის ერთმანეთთან შერევამ და მზა პროდუქტში ორფეროვანი შიგთავსის წარმოქმნამ მომხმარებლის ამაო შეშფოთება გამოიწვია. ამასთან, ლიტვურმა საცხობმა ნებისმიერ კვლევით ცენტრში პროდუქციის ლაბორატორიული ანალიზის მზადყოფნა გამოთქვა.

თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ დოლიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ლიტვური პურის შესახებ ვერაფერს იტყვის, რადგან არ სურს მათგან უარყოფითი რეაქცია წამოვიდეს, მაგრამ ადასტურებს, რომ საქართველოში მასობრივად არის შემოტანილი დანამატები. გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, ირანიდან, თურქეთიდან შემოტანილი დანამატები ჩვენს საბაჟოს გაივლის და ამის შემდეგ ყიდიან ამ დანამატებს. შემდგომში უკვე დანამატებს პურის წარმოების პროცესში იყენებენ და ოფიციალურად დაშვებულ ამ დანამატებს შორის ზოგი ფერმენტირებულია, ნატურალურია, ზოგი კი ჭვავის ფქვილია.

მისივე თქმით, ეს დანამატები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და ასეთ პურს მიირთმევენ უცხოელებიც. ამდენად, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. მათთვის კი, ვისაც პურის ხარისხი არ მოსწონს, მალხაზ დოლიძის რეკომენდაცია ასეთია: **„მაშინ გააკეთონ სახლში თონე და იქ გამოაცხონ პური, თორემ 1200 საცხობია თბილისში და მათ მაგივრად პასუხს ვერ გაგცემთ“.**

„რამდენი საცხობი გაიხსნა დღეს საქართველოში - ავსტრიული, გერმანული, ლიტვური, უნგრული, ჩეხური, უკრაინული, ლაზური. ყველას თავისი ტექნოლოგია აქვს. სტანდარტები რომ იყო საბჭოთა კავშირის დროს, ასე აღარ არის. ახლა სტანდარტს თვითონვე შეიმუშავებენ თავიანთ წარმოებაში და თვითონვე აცხობენ. თუმცა პური ერთადერთი პროდუქტია, რომელიც, სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, რისკჯგუფს არ მიეკუთვნება. პური 230 გრადუსზე ცხვება და იქ ყველა მიკრობი მკვდარია. რაც შეეხება რუხ პურს, ის დიაბეტიანებმა უნდა მიირთვან, რადგან ნახშირწყალი მასში ნაკლებია. ჩემს ქარხანაში შავი პური არც გამომიცხვია, ვაცხობ მხოლოდ რუხ და თეთრ პურს. შავ პურს იმიტომ არ ვაცხობ, რომ არასდროს მიხმარია ეს დანამატი. ხოლო რუხ პურს რად უნდა დანამატი? რუხი ფქვილი რამდენიც გინდათ, იმდენია. წისქვილებს მოჰკითხეთ, შავი ფქვილი კი ნაკლებად არის, უფრო ძნელი საშოვარია. შეღებილი რუხი პური მე არ მინახავს. შავ პურთან დაკავშირებით კი უფრო შემიძლია ვთქვა, რომ ის ბუნებრივად გაშავებული არაა“, — გვითხრა მალხაზ დოლიძემ.

ამასთან, განმარტა, რომ თეთრ პურს არ სჭირდება დანამატი. უბრალოდ, თეთრი პურის ცხობისას ფერმენტებს იყენებენ, რადგან სწრაფი ტექნოლოგიური პროცესი საჭიროებს ფერმენტის გამოყენებას. ცხობის პროცესში უნდა მოესწროს და ფრუქტოზა გლუკოზად გადაიქცეს, აქ კი უკვე ბიოქიმიასთან გვაქვს საქმე.

„ექსპერტიზა+“-ის პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენელი მზია ხარაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ყველაფერი შემოტანილი უხარისხოა. ზოგს შენახვის ვადა აქვს გასული, ზოგი კი უვარგისია. თუმცა პურის ხარისხზე ანალიზის ჩატარების გარეშე ზეპირად საუბარი არ შეიძლება.

„არის შემთხვევა, როცა ნამდვილად ცუდია პური და არის შემთხვევა, როცა შესანიშნავია. პურის ხარისხი იმ შემთხვევაში მოწმდება, თუკი ეს მეწარმის სურვილია. რამდენი ხანია, არავის აღარ მოუტანია შესამოწმებლად პური. ალბათ, იმიტომ, რომ ადრე შემოტანილ ამ პროდუქტთან დაკავშირებით ჩემი დასკვნა უარყოფითი იყო, რადგან ნაწლავის ჩხირი, სალმონელა იკვეთებოდა. ალბათ, არ მოსწონდათ ჩემი უარყოფითი პასუხები და ერთი წელია, ჩემთან პური შესამოწმებლად აღარ შემოსულა. ვერ ვიტყვი, ფერმენტების გამო რუხი პური უფრო საშიშია თუ თეთრი. გააჩნია ნედლეულს, ხომ არ არის გასული შენახვის ვადა. შეიძლება ყველა პირობა დაიცვან, მაგრამ შემოტანილი ფქვილი იყოს საზიზღრობა“, - აცხადებს მზია ხარაძე და განმარტავს, რომ კონკრეტული მეწარმის შიდა სტანდარტში წერია, რუხ პურს უკეთდება დანამატი, თუ ჭვავისგან მზადდება. თუმცა ფერმენტზე საუბარიც ზედმეტია, როცა რუხი პურის დასამზადებლად ზოგჯერ საღებავებსაც იყენებენ.

ექსპერტის თქმით, მართალია, თეთრი პური შეღებვას არ საჭიროებს, მაგრამ შეიძლება შემოიტანონ ისეთი ფქვილი, რომლის შენახვის ვადაც გასულია და ასეთი ფქვილი უნდა განადგურებულიყო. ამიტომ სახელმწიფოს ინტერესში უნდა იყოს პურის შემოწმება.

მანანა ნოზაძე

საბავშვო ბაღის ეზო კვიპაროსებმა გაალამაზეს

სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე მდებარე 128-ე საბავშვო ბაღის ეზოში 160 ძირი კვიპაროსი დაირგო. გამწვანების აქციაში თბილისის მერი დავით ნარმანია ბაღის აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობდა. მათთან ერთად ხეები მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსმა ნინო სულხანიშვილმა და თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამაც დარგეს.

გამწვანების სეზონური ღონისძიებების ფარგლებში, დარგული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობას კონტრაქტორი კომპანია „მწვანე სახლი“ 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს.

შემოდგომაზე თბილისის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებში 80 000 ხე-მცენარე დაირგვება. აქედან, 50 000 ნერგი მახათას მთაზე და თბილისის ზღვის გარშემო, 30 000-მდე კი სკვერებში, გამზირებზე და საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ. დასარგავი ხე-მცენარეების სიმაღლე 1,5- 5 მეტრამდეა. სეზონური გამწვანების ღონისძიებები დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

ახალი კედელი ჩიქოვანის ქუჩას დაიცავს

ჩიქოვანის ქუჩის №30-თან საყრდენი კედლის მშენებლობა დასრულდა. აღნიშნული მონაკვეთი, ჩიქოვანის №34-სა და №36-ს შორის მდებარეობს, სადაც საბურთალოს რაიონის გამგეობამ ახალი სკვერები მოაწყო.

საბურთალოს რაიონის გამგეობამ შესაბამისი პროექტი რამდენიმე თვის წინათ მოამზადა და სამუშაოებიც დაიწყო. კედლის მშენებლობა უკვე დასრულებულია როგორც მდინარე ვერეს ხევის, ისე უშუალოდ ჩიქოვანის ქუჩის მხრიდან. კედლის პარალელურად, გაკეთდა კორპუსებთან ასასვლელი კიბე.

სამუშაოები კომპანია „ლაგომ“ შეასრულა და მისი ღირებულება 21 000 ლარია. ამავე ტერიტორიაზე საბურთალოს რაიონის გამგეობა წელს სპორტულ მოედანს ააშენებს.

ხორცის ეტიკეტირება სავალდებულოა!

რამდენიმე **კვირაში ხორცის ეტიკეტირება სავალდებულო გახდება. ეს დაახლოებით ისეთივე პროცესია, როგორც რძის პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება. მომხმარებელს ყველაზე მეტად ის აინტერესებს, გაუძვირდება თუ არა პროდუქტი.**

საქონლის ხორცისა და ხორცპროდუქტების სავალდებულო ეტიკეტირების წესი ძალაში 2017 წლის პირველი იანვრიდან შევა. როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, პროდუქციის ეტიკეტზე სავალდებულო გახდება ყველა იმ ინფორმაციის დატანა, რომელიც მის ვარგისიანობაზე მიუთითებს. ეტიკეტირება უშუალოდ სასაკლაოებზე მოხდება.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე ეტიკეტირება ნებაყოფლობით ხდებოდა და მას საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს. ამიერიდან კი მწარმოებელი ვალდებული იქნება ყველა სახის ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს. ეს შეეხება ყველა სახის ცხოველისა და ფრინველის ხორცს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ნოდარ კერესელიძის თქმით, ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოს შესასრულებელი აქვს გარკვეული ვალდებულებები. „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ კუთხით“, — განაცხადა ნოდარ კელესელიძემ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე კახა სოხაძეც ადასტურებს, რომ ტექნიკური რეგლამენტი „საქონლის ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ“ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც პირდაპირაა ფოკუსირებული მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე. მისი ამოქმედებით ბაზარი გაცილებით მოწესრიგდება.

საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს ხორცისა და ხორცპროდუქტების ეტიკეტირების შემოღება წარმოების პროცესზე და ხომ არ გამოიწვევს ეს პროდუქციის გაძვირებას?

ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ვერძის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ერეკლე ნატროშვილი აცხადებს, რომ სავალდებულო რეგულაცია ხორცის და ხორცპროდუქტების ღირებულებაზე მეტ-ნაკლებად აისახება. მისი აზრით, ხორცი გაძვირდება, თუმცა მნიშვნელოვნად არა.

„მსხვილ კომპანიებზე უფრო ნაკლებად აისახება ეს ხარჯი, მცირე კომპანიებში კი თვალშისაცემი იქნება. თუ გვინდა ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა, ასეთი სტანდარტი უნდა დავნერგოთ, სხვანაირად არ გამოვა. ამ დროისთვის კომპანიაში მზადება მიმდინარეობს“, — განუცხადა „კომერსანტს“ ერეკლე ნატროშვილმა.

კახეთში მდებარე სასაკლაოს, შპს „მატადორის“ ხელმძღვანელი იოსებ კოხტაშვილი აცხადებს, რომ დღეს ბაზარზე ძალიან ბევრი შეუმოწმებელი და აღურიცხავი ხორცი ხვდება. შესაბამისად, ეტიკეტირების ამოქმედება დროულია. როგორც კოხტაშვილი ამბობს, ხორცის მწარმოებლები სასაკლაოების გვერდის ავლით ამზადებენ და ყოველგვარი შემოწმების გარეშე ახდენენ მის რეალიზებას.

„მას შემდეგ რაც კონტროლი იქნება, ბაზარი თავად დაარეგულირებს ფასებს. არ არის გამორიცხული ხორცის ფასის გაზრდაც, თუმცა, მგონია, რომ ეს უმნიშვნელო იქნება. მწარმოებლებმა ფასი ძალიან რომ გაზარდონ, პროდუქტი აღარ გაეყიდებათ. ხორცი საქართველოში იაფი ისედაც არ ღირს“, — ამბობს იოსებ კოხტაშვილმა.

ბექა დანელია

კლინტონი თუ ტრამპი? მოლოდინი საქართველოში

გუშინ, თბილისის დროით 16 საათზე ამერიკის შეერთებულ შტატებში 45-ე პრეზიდენტის აირჩევნები დაიწყო. დემოკრატი ჰილარი კლინტონი თუ რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი? ამერიკელი ხალხის არჩევანს, მთელი მსოფლიოს მსგავსად, დიდი ინტერესით ელიან საქართველოშიც.

ორივე კანდიდატი ნამყოფია ჩვენს ქვეყანაში. ჰილარი კლინტონი, სახელმწიფო მდივნის რანგში, ორჯერ, ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში. პირველად 2010 წლის ივლისში, თბილისში და მეორედ, 2012 წლის ივნისში, ბათუმში.

კლინტონი, რა თქმა უნდა გაცილებით უკეთ იცნობს, როგორც საქართველოს შიდა პოლიტიკურ სიტუაციას, ისე საგარეო პრობლემატიკას. ასევე საუკეთესო ქართული ღვინის გემოს, მას დაგემოვნებული აქვს საკოლექციო გურული ჩხავერი. კლინტონს „საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო“ მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – ოქროს საწმისის ორდენი.

„საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისთვის“ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით არის დაჯილდოებული დონალდ ტრამპი. იგი თბილისს და ბათუმს 2012 წლის აპრილში, საკუთარი თვითმფრინავით სტუმრობდა. შავი ზღვის სანაპიროზე მონაწილეობა მიიღო 47-სართულიანი „ტრამპ თაუერის“ პროექტის პრეზენტაციაში, რომელიც შემდეგ აღარ აშენდა.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე, რომელიც 8 წლის მანძილზე მუშაობდა ამერიკაში, ამბობს, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოს მიმართ დარჩება უცვლელი:

ჩვენთვის ნაკლებად შეიცვლება რაიმე, მიუხედავად იმისა თუ რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს, ვინაიდან ისტორიულად, მყარი, ჩამოყალიბებული და ძალიან ინტენსიური პარტნიორობა გვაკავშირებს აშშ-სთან. ამერიკამ ინტენსიური პარტნიორობა საქართველოსთან ჯერ კიდევ ჯორჯ ბუში უფროსის პრეზიდენტობის დროს დაიწყო და ეს ურთიერთობა გაგრძელდა და არ შეცლილა იმის მიუხედავად, თუ ვინ იყო აშშ-ის პრეზიდენტი“.

ეს ურთიერთობა ორმხრივია, ჩვენი მხრიდანაც ასეთი დამოკიდებულებაა და იქიდანაც. უნდა გავიხსენოთ, რომ აშშ-მა ინტენსიური პარტნიორობა საქართველოსთან, ჯერ კიდევ ჯორჯ ბუში უფროსის პრეზიდენტობის დროს დაიწყო და ეს ურთიერთობა გაგრძელდა და არ შეცლილა იმის მიუხედავად, თუ ვინ იყო აშშ-ის პრეზიდენტი – დემოკრატი ბილ კლინტონი თუ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში უმცროსი.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მოქმედი დემოკრატი პრეზიდენტის ბარაკ ობამას (2009-2016) „გადატვირთვის პოლიტიკამ“ რუსეთთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი გარკვეულწილად, მეორე რიგში გადაიყვანა, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მნიშვნელოვანი ნაწილის სიმპათიები, 8 ნოემბრის არჩევნებში, ისევ დემოკრატიული პარტიის კანდიდატისკენ იხრება.

ანალიტიკოსთა აზრით, ეს განპირობებულია, რესპუბლიკელთა კანდიდატის არაპროგნოზირებადი და იზოლაციონისტური რიტორიკით. პირველ რიგში დონალდ ტრამპის წინააღმდეგობრივი განცხადებებით, NATO-ზე, ბალტიისპირეთზე, ოკუპირებულ ყირიმზე, უკრაინაზე, ემიგრაციაზე, რუსეთსა და პრეზიდენტ პუტინზე.

საქართველოს ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი ატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარე ვასილ სიხარულიძე განმარტავს, თუ რატომ არის სარისკო დონალდ ტრამპის არჩევა:

დონალდ ტრამპი ბევრად უფრო სარისკო კანდიდატია ჩვენთვის, რუსეთთან მისი გაუთვიცნობიერებლობის გამო. არც საგარეო პოლიტიკური და არც ზოგადად, მმართველობითი გამოცდილება მას არა აქვს.

ეს გაცილებით სარისკოა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ საარჩევნო კამპანიის დროს, რუსეთმა პირველად გადაკვეთა წითელი ხაზი. ის პირდაპირ ჩაერია სხვა ქვეყნის წინასაარჩევნო პროცესში, ვგულისხმობ, რუსული სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულ ჰაკერულ თავდასხმას აშშ-ის პოლიტიკურ პარტიებზე, საარჩევნო ორგანიზაციებსა და მედიაზე.

რუსეთი პირდაპირ ცდილობს, რომ დემოკრატიული პროცესის მანიპულაცია მოახდინოს. ასევე, ნელ-ნელა ნათელი ეფინება სხვა თემებსაც. მაგალითად, სკანდალური „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი ჯულიან ასანჟის კავშირებს, უკვე აშკარაა, რომ „ვიკილიქსს“ აქვს გარკვეული რუსული კონტაქტები.

ანუ თანდათან აშკარა ხდება, რომ რუსეთი არა მხოლოდ საქართველოში, უკრაინასა და მეზობელ ქვეყნებში, არამედ უკვე მსოფლიოს მასშტაბით მანიპულირებს დემოკრატიული ინსტიტუტებით და ეს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.“

ამერიკის შეერთებული შტატების არსებობის 240-წლიანი ისტორიის მანძილზე, 44 არჩეული პრეზიდენტიდან, მხოლოდ პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი (1789-1797) იყო უპარტიო.

შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემის ორ ძირითად მოთამაშეს – რესპუბლიკურ პარტიას 18 პრეზიდენტი წარმოადგენდა, დემოკრატიულ პარტიას კი 16. ოთხ-ოთხი პრეზიდენტი ჰყავდათ ვიგების და დემოკრატიულ-რესპუბლიკურ პარტიებს. ერთი კი ფედერალისტურ პარტიას.

აშშ-ის პრეზიდენტები (1789-2016):

1. ჯორჯ ვაშინგტონი, უპარტიო – 1789-1797;
2. ჯონ ადამსი, ფედერალისტი – 1797-1801;
3. თომას ჯეფერსონი, დემოკრატ-რესპუბლიკელი – 1801-1809;
4. ჯეიმზ მედისონი, დემოკრატ-რესპუბლიკელი – 1809-1817;
5. ჯეიმზ მონრო, დემოკრატ-რესპუბლიკელი – 1817-1825;
6. ჯონ ქუისზი ადამსი, დემოკრატ-რესპუბლიკელი –1825-1829;
7. ენდრუ ჯექსონი, დემოკრატი – 1829-1837;
8. მარტინ ვან ბურენი, დემოკრატი – 1837-1841;
9. უილიამ ჰენრი ჰარისონი, ვიგი – 1841 მარტი-აპრილი;
10. ჯონ ტაილერი, ვიგი – 1841-1845;
11. ჯეიმზ ნოქს პოლკი, დემოკრატი – 1845-1849;
12. ზაქარი ტეილორი, ვიგი – 1849-1850;
13. მილარდ ფილმორი, ვიგი – 1850-1853;
14. ფრანკლინ პირსი, დემოკრატი – 1853-1857;
15. ჯეიმზ ბიუკენენი, დემოკრატი – 1857-1861;
16. აბრაამ ლინკოლნი, რესპუბლიკელი - 1861-1865 (მოკლეს);
17. ენდრიუ ჯონსონი, დემოკრატი – 1865-1869;
18. ულის გრანტი, რესპუბლიკელი – 1869-1877;
19. რეზერფორდ ჰეისი, რესპუბლიკელი – 1877-1881;
20. ჯეიმზ გარფილდი, რესპუბლიკელი – 1881 მარტი-სექტემბერი, (მოკლეს);
21. ჩესტერ ართური, რესპუბლიკელი – 1881-1885;
22. გროვერ კლივლენდი, დემოკრატი – 1885-1889;
23. ბენჯამინ ჰარისონი, რესპუბლიკელი – 1889-1893;
24. გროვერ კლივლენდი, დემოკრატი – 1893-1897 მეორე ვადით;
25. უილიამ მაკ-კინლი, რესპუბლიკელი – 1897-1901, მოკლეს;
26. თეოდორ რუზველტი, რესპუბლიკელი – 1901-1909;
27. უილიამ ჰოვარდ ტაფტი, რესპუბლიკელი – 1909-1913;
28. ვუდრო უილსონი, დემოკრატი – 1913-1921;
29. უორენ ჰარდინგი, რესპუბლიკელი – 1921-1923;
30. კალვინ კულიჯი, რესპუბლიკელი – 1923-1929;
31. ჰერბერტ ჰუვერი, რესპუბლიკელი – 1929-1933;
32. ფრანკლინ რუზველტი, დემოკრატი – 1933-1945;
33. ჰარი ტრუმენი, დემოკრატი – 1945-1953;
34. დუაიტ ეიზენჰაუერი, რესპუბლიკელი – 1953-1961;
35. ჯონ კენედი, დემოკრატი – 1961-1963, (მოკლეს);
36. ლინდონ ჯონსონი, დემოკრატი – 1963-1969;
37. რიჩარდ ნიქსონი, რესპუბლიკელი – 1969-1974;
38. ჯერალდ ფორდი, რესპუბლიკელი – 1974-1977;
39. ჯიმი კარტერი, დემოკრატი – 1977-1981;
40. რონალდ რეიგანი, რესპუბლიკელი – 1981-1989;
41. ჯორჯ ბუში უფროსი, რესპუბლიკელი – 1989-1993;
42. ბილ კლინტონი, დემოკრატი – 1993-2001;
43. ჯორჯ ბუში უმცროსი – რესპუბლიკელი – 2001-2009;
44. ბარაკ ობამა – დემოკრატი – 2009-2016;
45. ???

ვის აძლევენ ხმას ქართველი ამერიკელები ნიუ-იორკში?

ქართველები შეერთებულ შტატებშიც პოლიტიკურად აქტიურები არიან. სამშობლოში და ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ერთნაირად მგრძნობიარედ რეაგირებენ და აზარტში შედიან. ზოგიერთი ქართველი იმიგრანტი ამერიკაში დაბადებულ და გაზრდილ, ძირძველ ამერიკელზე უფრო აქტიურიც არის.

დავით გოგოლაშვილი ნიუ-იორკში თექვსმეტი წელია ცხოვრობს. ის დონალდ ტრამპის მხარდამჭერია და რესპუბლიკელებს წინასაარჩევნოდ საარჩევნო ბუკლეტების დარიგებაშიც ეხმარებოდა. საარჩევნო შტაბში ის მელანია ტრამპს და სამხედრო დაზვერვის სამსახურის ყოფილ უფროსს, ტრამპის მრჩეველს, გენერალ მაიკლ ფლინსაც შეხვდა.

დავით გოგოლაშვილი: „მე იქ დიდი საქმე არ მაქვს, ბუკლეტებს ვარიგებდით. მაგრამ მისი მთელი გარემოცვა ვნახე. მაგალითად, გენერალი ფლინი და ყველა მრჩეველი, მეუღლე, დამხმარე ხალხი. ხელი არ ჩამომირთმევია, მაგრამ დავინახე. იქ დრო არ გაქვს რომ მიხვიდე, ხელი ჩამოართვა. ჩვენ ყველა საკუთარი საქმით ვართ დაკავებული. დავალაგეთ ბუკლეტები, ავუტანეთ და დიდი მადლობა გვითხრა“.

თავად ემიგრანტს ტრამპის განცხადებები არალეგალ იმიგრანტებთან დაკავშირებით, უხერხულობას არ უქმნის.

დავით გოგოლაშვილი: „ვუჭერ მხარს, აბა რა. ეს ქვეყანა ქვეყანაა, რას დაემსგავსა? რომ იტყვიან, ღია კარის დღეა, ვისაც უნდა შემოდის, ვისაც უნდა გადის. მე რომ ჩამოვედი, 1993 წელი იყო. მივაღწიე ყველაფერს, რაც მინდოდა. ხალხი ვინც შემოდის ქვეყანაში ოფიციალურად კი, გასაგებია, მაგრამ არალეგალები? ამდენი მკვლელობა და გაუპატიურება ხდება, კრიმინალი გაზრდილია. ამიტომ უნდა მას კონტროლის გამკაცრება და სწორია კედლის აშენება, კი ბატონო, „ჩაკეტოს საზღვარი“.

თამარ ჯანგულაშვილი ამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას პირველად მიიღებს. საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შემდეგ სახლში ფოსტით მიუვიდა მოსაწვევი. ის დემოკრატების მხარდამჭერია.

თამარ ჯანგულაშვილი: „დემოკრატების მხარდამჭერი ვარ და ხმას მივცემ დემოკრატების კანდიდატს“.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებული კომპრომატების ომით გამოირჩევა. ორივე კანდიდატის გარშემო სკანდალებმა გავლენა მათ საარჩევნო კამპანიაზე და რეიტინგზე რეალურად მოახდინა.

ნათია გაგუა: „ძალიან მაინტერესებს იმეილების ამბავი. მაინც ვერ გავიგე რა ხდება. მგონია, დაუმთავარებელი საგაა. არ ვიცით, ვისაც არ უნდა ჰკითხო, ზუსტი ინფორმაცია არავინ იცის, იყო თუ არა მართლა ჰილარი კლინტონი კორუფციულ გარიგებაში. ეს არავინ არ ვიცით. ასევე, ტრამპის შემთხვევაში იყო ქალებთან დაკავშირებული პრობლემები. გამოვიდნენ და თქვეს, რომ იქ ბარში იყვნენ, ტრამპმა მუხლზე ხელი დაადო. ეს ჩემთვის დამაჯერებელი არ იყო. ჩემთვის გადამწყვეტი ტრამპის თაობაზე აღმოჩნდა აუდიოჩანაწერები, რომელშიც ტრამპი ქალებთან დაკავშირებით საუბრობს. აი ამან მოახდინა მთლიანი შთაბეჭდილება ჩემზე და ამით დაესვა წერტილი“.

ნათია გაგუას ჯერ მწვანე ბარათი აქვს და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე შეეძლება საკუთარი არჩევანის გაკეთება. თუმცა, მისი სიმპათიები ჰილარი კლინტონისკენ იხრება.

ნათია გაგუა: „არა იმიტომ, რომ ის ქალია, არანაირი გენდერული თვალსაზრისით არა. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ჭკვიანი ქალია და დიდი გამოცდილება აქვს“.

ვინ იქნება შეერთებული შტატების რიგით 45-ე პრეზიდენტი, ეს ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველებისთვის საინტერესოა საგარეო ურთიერთობების გამოც. ტრამპის მიერ პუტინის მიმართ და პირიქით გამოთქმული სიმპათიების მიუხედავად, მაინც ფიქრობენ, რომ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო რევერანსები იყო. ნათელა გოგიბედაშვილი ამბობს, რომ „თანამედროვე მსოფლიოში საპრეზიდენტო კანდიდატთა კრიზისია, მაგრამ ამერიკის მომავალი პრეზიდენტი, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება, საქართველოსთან მაინც მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს შეინარჩუნებს“.

ნათელა გოგიბედაშვილი: „არაფერი არ შეიცვლება ჩვენთვის, ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი ქვეყანა. თუ ჩვენ ერთად ვიქნებით და ერთმანეთი გვეყვარება, ყველა გაგვიწევს ანგარიშს“.

ამერიკის სხვადასხვა შტატებში ხმის მიცემის პროცედურა უკვე დაწყებულია. ზოგან ერთი თვით ადრე, ზოგან კი რამდენიმე დღით ადრე უკვე შეიძლებოდა არჩევანის გაკეთება. თუმცა მთავარი დღე მაინც 8 ნოემბერია...

მაკა გარსევანიშვილი

ნაირა გელაშვილი: ბრწყინვალება და სიღატაკე „არასამთავრობო სექტორისა“

(პირველი გვერდიდან) მართალია, ქვეყნის ფაქტს უკვე მრავალი გამოეხმაურა კრიტიკულად, მაინც საჭიროდ ჩავთვალე ამ წერილის დაწერა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

ჯერ უკვე კარგად ცნობილი ფაქტი: ე.წ. არასამთავრობო სექტორის 45 წარმომადგენელმა, რომელთა შორის არიან გარემოსა და ქალაქის დამცველები, პოეტები, მწერლები, მხატვრები და სხვები, — მოუწოდა „ევრო-ატლანტიკური ორიენტაციის“ პარტიებს, მათ შორის, ნეოფაშისტურად მიჩნეულ „ნაციონალურ მოძრაობას“ (მდაბიურად „ნაცებს“),რომ მათ მოუწოდონ თავ-თავიანთ ამომრჩევლებს, არჩევნების მეორე ტურში ხმა მისცენ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატებს(!), რათა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვოს „კონსტიტუციური უმრავლესობა.“

მართალია, ტექსტი არ ასახელებს, რომ მიზანი სწორედ „ნაცების“ მხარდაჭერაა, მაგრამ რადგან „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგენი მეორე ტურში ძირითადად სწორედ ისინი არიან, ხელმომწერთა სულისკვეთება აშკარა ხდება. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთმა ხელმომწერმა: ცნობილმა სამოქალაქო აქტივისტმა ნინია კაკაბაძემ ჩვეული უდრეკობით მოუწოდა მოქალაქეებს ტელეეკრანიდან: „ამ შემთხვევაში“ ნაციონალი კანდიდატებისათვის მიეცათ ხმა. და, რაღა თქმა უნდა, რომ „სამოქალაქო“ კამპანია უსწრაფესად აიტაცა „რუსთავი-2“-მა და ძირითად ნაკადად აქცია! ჩანს, ეს მისთვის მოულოდნელი არ იყო.

მაშასადამე: ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიული გეზის გადასარჩენად აღძრული პირები, რომლებიც მანამდე ბაღების, სკვერებისა და კულტურის ძეგლების, ასევე, ნაციონალური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვით, ან თავიანთი შემოქმედებით იყვნენ დაკავებული, — ითხოვენ საქართველოში ცხრა წლის მანძილზე გაბატონებული და ძლივს დაძლეული ფაშისტური ავტოკრატიის აღორძინებას, რათა, როგორც უკვე ვთქვით, მისმა მძლეველმა „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობით ავტოკრატიული მმართველობა არ დაამყაროს(!).

საზოგადოებას მაშინვე ის მოხვდა თვალში, რომ ასეთი თამამი ოპერატიულობა ხელმომწერთა აბსოლუტურ უმრავლესობას „ნაციონალურ რეჟიმის“ ხანაში არ გამოუვლენია.

მაგრამ ახლა სხვა რამეზე შევჩერდეთ: სახეზეა ცნობილი მენტალური ნაკლი: საკარაუდო დანაშაული ამ ადამიანებისთვის უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ჩადენილი; შესაძლებელი უფრო რეალურია, ვიდრე რეალობა, ანუ ის, რაც ნამდვილად არსებობდა 2004-2012 წლებში;

ხელისუფლებას ვერავინ დაუდგება გარანტად. „საკონსტიტუციო უმრავლესობა“ კი არა, მშვიდ ცხოვრებაშიც ყველაფერი სარისკოა: სიცოცხლეც, სიყვარულიც და ბავშვის გაჩენაც... რომ აღარაფერი ვთქვათ ტექნიკურ ცივილიზაციაზე თავისი თვითმფრინავებითა და მანქანებით... და აი, დემოკრატია ხომ საერთოდ საშინელი რისკია, რადგან სულ კანონიერი გზით შეუძლია ტახტზე დაგვისვას დიდ-პატარა ჰიტლერები. მერე რა ვქნათ, რა გავაუქმოთ: სიცოცხლე, თვითმფრინავები თუ დემოკრატია? (კარგად თქვა ცნობილმა იურისტმა ბ-ნ მინდია უგრეხელიძემ: საკონსტიტუციო უმრავლესობა დანაშაული რომ იყოს, აკრძალული იქნებოდაო).

მოკლედ, საქმე არანაირად არ არის საკონსტიტუციო უმრავლესობაში, რომელიც, როგორც ვთქვი, თავისთავად მართლაც სახიფათოა, იმისდა მიხედვით, ვის ხელში მოხვდება, თუმცა ჩვეულებრივ უმრავლესობასაც მშვენივრად შეუძლია მთელი ქვეყანა თავზე დაგვამხოს (თუ ჩვენ, ხალხი და ე.წ. სამოქალაქო საზოგადოება არ აღვუდექით წინ, რისთვისაც საჭიროა რომ ეს „ხალხი“ და „საზოგადოება“ არსებობდნენ).

აქ მთავარი არც ქართული ოცნებაა, არც პარლამენტი, არც საერთოდ პოლიტიკა და არც რაიმე პოლიტიკური კურსი.

მთავარია საქართველოს დაცემა და ტრაგედია: ახლად წარმოქმნილი დემოკრატიის წიაღში ჩასახული და დაბადებული ეროვნული ფაშიზმი. ჩვენი ნაციონალ-კაპიტალიზმი, კერძოდ, ის, რომ საქართველოში 2004 წლიდან 2012 წლამდე სააკაშვილის ხელისუფლება ახორციელებდა განსაკუთრებული სისასტიკით აღბეჭდილ სადამსჯელო ოპერაციას საკუთარი ხალხის მიმართ.

მთავარია ის, რაც არასოდეს მომხდარა საქართველოს ისტორიაში და რაც, „ნაცური“ მმართველობის ყველა პარამეტრის გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ქართველი ხალხის გენოციდის მცდელობა (ადამიანთა მასობრივი დაპატიმრება, გაძარცვა, წამება, დასახიჩრება, დამცირება და დახოცვა; ქართული სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი განადგურება; მცირემიწიანი ქვეყნის ვრცელი სავარგულებისა და საძოვრების უცხოელებზე მიყიდვა; ამით ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადახვეწისა და სოფლების დაცარიელებისათვის ხელის შეწყობა; მთლიანობაში: ქართული მოსახლეობის უცხოთი ჩანაცვლების აშკარა გეგმა; ბოლოს: პროვოკაციული ომის შედეგად უამრავი ადამიანური მსხვერპლი, გადამწვარი სოფლები და დაკარგული მიწაწყალი; ომგადატანილი მოსახლეობის მიგდება ბედის ანაბარა და სხვ.).

მთავარი და თავზარდამცემია ჩვენში არსებული სისასტიკის მასშტაბები! ის, რომ ამ ოპერაციაში ათასობით ჯალათი იყო ჩართული, რომლებიც ახლა მშვიდად აგრძელებენ ჩვენს გვერდით ცხოვრებას და მუშაობას და თავი ადამიანებად მოაქვთ. ისინი ელოდებიან, კიდევ როდის მოითხოვს მათ „უნარ-ჩვევებს“ „დემოკრატიული“ სახელმწიფო და იმედი ეღვიძებათ მსგავსი „სამოქალაქო“ მოწოდებების შემხედვარეებს.

მთავარია ის, რომ საქართველოში ამდენი მომხრე აღმოაჩნდა მეთოდურ ძალადობას; რომ გამართლდა ჩვენი დიდი მოაზროვნის მერაბ მამარდაშვილის სიტყვები, 1990 წელს რომ წარმოთქვა: „ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით ცოცხლობენ ის ძალები, რომლებმაც 37 წელი განახორციელესო“! და ნაციონალური მოძრაობის მიერ განხორციელებული ეს ლოკალური, ქართული 37 წელი სისასტიკის ისეთი სამარცხვინო, ისეთი კოშმარული დეტალებით იყო დახუნძლული, რომ (ერთხელაც ვთქვი) მგრძნობიარე ქართველები სერიოზულად სვამდნენ კითხვას: რაღა ამართლებს ჩვენი ერის არსებობასო.

მთავარია ის, რომ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ აღასრულა ის მთავარი, რასაც ხალხს დაჰპირდა: მართლმსაჯულება, და დამნაშავეთა ბანდა პარლამენტში დარჩა:

და ახლა მგლოვიარე დედები და მამები ფულს იხდიან თავიანთი შვილების მკვლელების შესანახად! მსხვერპლები თავიანთი ხელფასიდან იხდიან თავიანთი ჯალათების სარჩენად, მათი პრივილეგირებული ცხოვრებისათვის, შავი ჯიპებით გრიალისათვის, უცხოეთში სეირნობისა და ფეხით გაქელილთა დაცინვისათვის! მათი უტიფრობისა და ურცხვობის ნაკადებისათვის, პარლამენტის დარბაზიდან და ტელეეკრანებიდან რო წყნენ „ანტინაცები“ და „ნაცები“ ერთმანეთს არა მხოლოდ პარლამენტსა და ბიზნესში, არამედ საზოგადოებრივი შენობის სხვადასხვა სართულებზე, ოფისებში, სარდაფებში; „რუსთავი-2“ ის ყვითელ შოუებში, რომლებშიც სიამოვნებით მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ვითომ „ანტინაცი“ მომღერლები, მსახიობები და სხვა მოღვაწეები. და „ანტინაცურ“ ტელეეკრანებზეც, სადაც „მაღალ- ლიბერალური, ზეთანამედროვე სტილის“ ნიშნად „ნაცებს“ იწვევდნენ და იწვევენ „განსხვავებული აზრის გამოსათქმელად“ (აქაოდა, რაკი „კოჰაბიტაცია“ დასავლეთიდან მობერილი ქარია, ესე იგი კარგია, და ემანდ, არადასავლურობა, ანუ ჩამორჩენილობა არავინ დაგვწამოსო), რითაც ზნეობრივ ატროფიასა და სიჩლუნგეს ამკვიდრებდნენ და ამკვიდრებენ! თითქოს განსხვავებული აზრების დეფიციტი იყოს საზოგადოების იმ ნაწილში, „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ უპირისპირდება! მერე „ნაცურ-ანტინაცური“ წყვილის შეუღლებაც სრულიად უმტკივნეულოდ აღსრულდა.

ადრეც ვწერდი: ზნეობრივი თვალსაზრისით, „კოჰაბიტაციის“ ხანა ბევრად უარესია-მეთქი, ვიდრე ხანა სახელმწიფო ბოროტმოქმედებისა, რომელსაც ხალხის უდიდესი ნაწილი პრინციპულად ემიჯნებოდა.

მიუხედავად საშინელი დამარცხებისა მის მიერვე გაჩაღებულ ომში, გერმანიაში დიდხანს ვერ აღმოიფხვრებოდა ფაშისტური ცნობიერება, „კოჰაბიტაცია“ რომ გამოეცხადებინათ, დიდი სამსჯავრო „ნიურნბერგის პროცესი“ რომ არ გაემართათ, ბოროტმოქმედები არ დაესაჯათ და ნაციონალ-სოციალიზმი არ აეკრძალათ!

ჩვენ კი „კოჰაბიტაციამ“ პერმანენტულ სამოქალაქო ომში გადაგვისროლა. უიარაღო, მაგრამ ულმობელ სამოქალაქო ომში, რადგან არსებობს შეურიგებელი ანტიფაშისტური ნაწილიც ხალხისა, დიდი ნაწილი, დღემდე უანგაროდ (თუ არცთუ უანგაროდ) მებრძოლი „ნაცმოძის“ წინააღმდეგ, რომელიც მას არასოდეს შეურიგდება, ვიდრე ისინი სასჯელს არ მოიხდიან. **მერაბ მამარდაშვილი ამბობდა, საბჭოთა საზოგადოება მუდმივ სამოქალაქო ომში მცხოვრები საზოგადოება იყოო. ცხადია, რატომაც: იდეოლოგიურად დანერგილი კლასობრივი დაპირისპირების გამო, ხშირად სისხლის გუბეებს რომ აყენებდა.**

და „კოჰაბიტაციის“ უწესო და არაბუნებრივ სივრცეშიც ხან სად იფეთქებს ფიზიკური შეხლა-შემოხლა და ხან სად: ხან კაფეში და ხან სოფელში, ხან არჩევნებზე და ხან პარლამენტში, ხან სახელმწიფო უნივერსიტეტში („ოცნების“ მიერ მზრუნველად შენარჩუნებულ ნეოკომკავშირულ სტუდენტურ თვითმმართველობასა და დემოკრატ, მოწინავე სტუდენტებს შორის) და ხან ქუჩაში. დიახ, ჩვენ შიდა ომი მოგვისაჯა კოჰაბიტაციამ, მაგრამ ეს ომი ჯერ კიდევ ჩვენს სიცოცხლეზე მეტყველებს, მაშინ როდესაც უდანაშაულოდ წამებულთა გვამებზე გადაბიჯება და ბოროტმოქმედებთან შერიგება ჩვენც გვამებად გვაქცევს.

და სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება: არ შეიძლება ადამიანთა შემუსვრაში მონაწილეთა ყოფნა ხელისუფლებაში! არ შეიძლება! და იმათ გარდა, ვისაც უშუალოდ ედებათ ბრალი ადამიანთა დახოცვასა და წამებაში, ხომ ისიც დამნაშავეა, ვინც ხელს აფარებდა და ჩუმად ეთანხმებოდა დამნაშავეებს. ეს ხომ აქსიომაა. ეს ხომ თვით სისხლის სამართლის კოდექსშიც არის ასახული: დანაშაულის დაფარვა, დამნაშავის თანამზრახველობა ხომ დასჯადია! ან ეგებ მართლა ჰგონია ვინმეს, რომ მხოლოდ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი სჩადიოდნენ ამას, დანარჩენმა ქალებმა და კაცებმა კი არაფერი იცოდნენ, ახლაც რომ ამტკიცებენ თავიანთ აგზნებულ მომხრეებთან ერთად, ციხის კადრები დადგმულია, მიტინგების დარბევები კი გამართლებული იყოო!

და ხალხი ევედრებოდა „ქართულ ოცნებას“, 4 წლის შემდეგ მაინც მოეშორებინა ეს კოლექტიური საწამლავი პარლამენტიდან, ჩვენი თვალებიდან, ჩვენი ყურებიდან. მაგრამ 4 წლის შემდეგ სწორედ „კოჰაბიტაციისა“ და ამომრჩეველთა დეპრესიის წყალობით ეს კიდევ უფრო ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა! ხალხს, რომელსაც პარლამენტი და ტელევიზიები უწყვეტ ტრავმად ექცა, და კიდევ სხვა მიზეზთა გამო, გული გაუტყდა. გატეხილი გული, კი უმეტესად ახლოს აღარ იკარებს პრაქტიკულ გონებას. არჩევნებზე არმისვლით მათ ხელი შეუწყვეს „ნაციონალების“ საპარლამენტო სიცოცხლის ამჯერად უკვე გაურკვეველი ვადით გახანგრძლივებას.

და ისევ დახავსდებიან რა დანაშაულებში აღარ გახვეული „ხალხის რჩეულნი“ საპატიო სკამებზე, სადაც ზოგი მათგანი ლამის უკვე 30 წელია, ხავსდება (რადგანაც ძარღვი შუბლზე თანდათან და სულ უფრო მეტი ხმაურით უწყდებოდათ).

და გაჩნდება სრული უფსკრული ხელისუფლებასა და ხალხს შორის, და სრულიად აუტანელი, ყველანაირი სულიერი იდეისა და ნდობისაგან, სიხარულის, იმედისა და ენთუზიაზმისაგან დაიცლება ამ თვალსაზრისითაც ისედაც გამოფიტული ცხოვრება, სადაც პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და აქტივისტები თავიანთი სტერილური „პოლიტკორექტულობითა“ და არაშემოქმედებითობით სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ერთნაირად მომართულ მექანიკურ არსებებს.

არ შეიძლება „ნაცები“ პარლამენტში! ასეთ პარლამენტთან ერთად ხალხი ვერ იცხოვრებს! არ შეიძლება კიდევ

მწერალი ბრალსა სდებს!..

უფრო ღრმა აზრითაც: თვით ლიბერალური ათეიზმით წელგამაგრებულებმაც არ შეიძლება მთლიანად უარყონ დანაშაულისა და ბედისწერის ერთმანეთზე გადაჯაჭვულობა! ვიდრე სისხლის სამართლისა და ზნეობრივი სამართლის დამნაშავეები პარლამენტში ისხდებიან და მათი ტრიბუნა „რუსთავი-2“ ასე გააგრძელებს მუშაობას, ქვეყანა სიკეთეს არ უნდა ელოდოს. ვაითუ, ქალაქთებესავით ახალმა უბედურებამ მოიცვას, იმიტომ რომ ტახტის ნახევარზე ბოროტმოქმედები სხედან, მით უფრო, რომ მეფე ოიდიპოსისაგან განსხვავებით, ესენი უნებური კი არა, შეგნებული დამნაშავეები არიან (ამიტომ ვერ ვეღირსეთ, თვითდასჯა რა მოსატანია, რომ ერთ მათგანს მაინც ეთქვა: „არ ვიცოდი, ციხეებში რაც ხდებოდა, მაპატიეთ, სამუდამოდ მივდივარ პოლიტიკიდანო“).

და ახლა იმ ფენომენს უნდა შევეხო, რომელიც პირველად გერმანული ფაშიზმის დროს გაიცნო მსოფლმა და ლამის ჭკუიდან გადადგა: **ეს ფენომენია კულტურული, კეთილი, განათლებული ან სულაც გენიალური ადამიანი, რომელიც ბრბოს წევრი ხდება! რადგან ბრბოსავით ინუსხება ნახევრადშეშლილი „წინამძღოლითა“ და მისი აგრესიული მანძანით.**

სხვა ყველაფერში ადამიანური და აზრიანი , იგი აუხსნელად ექვემდებარება ამ აბსოლუტური ძალაუფლების მქონე, უმოწყალო ტირანს. ბევრი — ღიად, ბევრი — დაფარულად. 1933 წელს, როდესაც გერმანელი ხალხის უდიდესი უმრავლესობა ამ უცნობმა დაავადებამ შეიპყრო, გაოგნებულმა ალფრედ აინშტაინმა წერილი მისწერა ზიგმუნდ ფროიდს, გამაგებინე, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმეო. და მან უპასუხა: როცა თავისთავად კეთილი და წესიერი, უამრავ სხვა საკითხში სწორად მხედი და მგრძნობელი ადამიანი სახელმწიფოებრივი ძალადობის პასიური ან აქტიური მხარდამჭერი ხდება, რაც მტანჯველად გაუგებარია მისი ახლობელი ადამიანებისათვის, ეს იმიტომ, რომ ამ მოვლენას ფესვი გადგმული აქვს ირაციონალურში, მაშასადამე, რაციონალურად ვერ აიხსნებაო. გასაგებია, რომ მხედველობაში ჰქონდა ქვეცნობიერში ჩაწნეხილი ტრავმები.

მოკლედ, ძალადობრივ სისტემას და ეგზალტირებულ, უმოწყალო წინამძღოლს ან შეგნებულად ემხრობიან ყველაფერში სარგებლობის მაძიებელი კონფორმისტები და საქმოსნები, ანუ არამზადები, ან შეუგნებლად — თავიანთი ტრავმირებული ფსიქიკით მართული ადამიანები, რომლებსაც ასევე გაუცნობიერებლად მოსწონთ, რომ ხელისუფლება სჯის ხალხს, რომელმაც მათ ტრავმები მიაყენა და რომლის დასჯა თავად არ შეუძლიათ. მესამე ჯგუფს კი ის ხალხი ეკუთვნის, რომელიც გულში არა, მაგრამ ხმამაღლა უჭერს მხარს, რადგან ეშინია; არსებობს კიდევ უაღრესად პრიმიტიული ადამიანის თითქმის განუვითარებელი შეგნება.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენს წინაშე ეს უმწვავესი პრობლემა დგას და კიდევ დიდხანს მოგვიწევს მასზე თავის მტვრევა.

და „ნაცების“ პასიურ-აქტიური მხარდამჭერები, ალბათ სრულიად უბოროტო ხალხი, მაგალითად, აქეთ მწერალი და იქით თეოლოგი, ტკბილად საუბრობდნენ ტელეეკრანიდან ოპერაზე და ოპერის ჰანგებით ახშობდნენ შვილებდახოცილი დედების კივილსა თუ ღრიალს, ციხეებიდან ცამდე რომ ადიოდა... ქალბატონი სამოქალაქო აქტივისტი, ნაციონალურ რეჟიმს რომ ებრძოდა, მაგალითად: თამამად რომ ამხელდა ტელეეკრანიდან კრიმინალური წარსულის მქონე კულტურის მინისტრს და მას „ქილერს“ უწოდებდა, მას შემდეგ რაც ნაციონალთა რძალი გახდა, „ამ შემთხვევაში“ მათი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს ამომრჩევლებს და ამას სახელმწიფოს ბედ-იღბალზე ზრუნვით ხსნის (სიყვარული კი არის ბრმა, მაგრამ თემიდა ხომ თვალახვეული უნდა იყოს). იქით ახალგაზრდების საყვარელი, ცნობილი მწრალი დასდევს ამ ყოფილ ქილერ-მინისტრს და სოლოლაკს მოუწოდებს, ხმა მისცეს მას, და არა მაღალი რანგის პროფესიონალ დიპლომატს, როცა ნებისმიერი სახის დარგობრივი პროფესიონალიზმი (გარდა კრიმინალურისა) ასე წყალივით სჭირდება ქვეყანას...

* * *

ასეა გაყოფილი და დაპირისპირებული საზოგადოება და ასევე, „არასამთავრობო სექტორიც“, რომელსაც უცხოეთი თითქოს იმიტომ უხდის ფულს, რომ თუ აქ დემოკრატიული შენობის საძირკველში არ ჩაეშენება, კედლების ამოყვანაზე მაინც უნდა გაისარჯოს ერთგულად. მაგრამ, სწორედ „არასამთავრობო სექტორის“ მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველ რიგში, „თავისუფლების ინსტიტუტი“ იქცა სახელმწიფო დამნაშავეთა თუ ელასტიურ, სალონურ პოლიტიკოსთა სამჭედლოდ, თუმცა, თავიდან სულაც არ დაუწყია ასე, პირიქით, და მეც პირადად მათი დამცველი ვიყავი ყველგან, სადაც კი უსამართლოდ ესხმოდნენ თავს. თუმცა, მერე თანდათან აშკარა გახდა, რომ „არასამთავროების“ დიდი ნაწილისა არ იყოს, ფრიად მახვილი ყურები ანტენებივით მხოლოდ დონორებისაკენ მიუტრიალდათ და არა ხალხისა და ქვეყნის ტანჯვისაკენ; რომ თანდათან ისე „ამაღლდნენ“ ხალხზე, რომ საერთოდ მისი სულის, მისი „ეროვნული ვინაობის“ (ი. ჭავჭავაძე), მისი ისტორიისა და ინტერესების დაცინვა და გაქრობა მოინდომეს; დაკარგეს ელემენტარული შეგრძნება მისი ვარამისა და უილაჯობისა, ელემენტარული სითბო და თანაგრძნობა მისდამი; დაკარგეს, ან არც ჰქონიათ სურვილი, გაეგოთ, მაინც რა იწვევს ხალხის შეგნების დაქვეითებასა თუ შიშებს, მას რომ მოსვენებას არ აძლევს; გაუთავებელი დაცინვა საკუთარი ხალხისა და ქვეყნისა იქცა უცხოელთა წინაშე თვითდამკვიდრების მთავარ ფორმად. და ხალხმაც შეიძულა ისინი.

მთავარია ის, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე: დამნაშავე ნაციონალები პარლამენტში ეს არის კოლექტიური კანცეროგენი — კიბოს წარმომქმნელი ნივთიერება! იმ მოქალაქეთა ნერვული სისტემის გამანადგურებელი რამ, რომლებიც დაჯილდოებული არიან სხვისი ტანჯვის გაზიარებისა და უსამართლობასთან შეუგუებლობის ღვთაებრივი ნიჭით. დიახ, ასეთ ადამიანებს აავადებს და კლავს ბოროტმოქმედთა უტიფრობა.

გააფთრებული იცავენ ადამიანის უფლებებს და ადამიანი ეჯავრებათ; მოარღვიეს საუკუნეთა მანძილზე წვეთწვეთობით ნაგები უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი და ზრდილობის კოდექსი (დიდებული კვინტესენციით: „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა...“), არ გააჩნიათ თუნდაც ასაკის, მოხუცებულობის მიმართ ელემენტარული თავშეკავება, ნაკლის გვერდით ღვაწლის დანახვის უნარი: აი, ეს, შინაგანი დახვეწილობისა და ფაქიზი ადამიანობის ნიშანი.

როცა უნდათ, იგინებიან და ბილწსიტყვაობენ ტელეეკრანიდან მთელი ქვეყნის გასაგონად (რომელსაც ისედაც ბილწსიტყვაობის საზიზღარი სენი ჭამს), და ისე, რომ ქალაქის მერის „მაიმუნოვირიშვილო“, ლოცვის სიტყვებად ჩანს პარკის დამცველი ქალბატონის იმ მარგალიტთან შედარებით, რისი ციტირებაც შეუძლებელია! და მრავალგზის ჩვენს მიერ ქოქოლადაყრილ მერისაგან განსხვავებით, მას თავშიც არ მოსვლია ბოდიში მოეხადა საზოგადოების წინაშე, რადგანაც ეს წამოცდენა არ ყოფილა. და სხვათა შორის, ნამდვილად ენერგიულმა გარემოსდამცველმა ამ „მარგალიტით“ ისეთი ლახვარი ჩასცა ამ ყოვლად საჭირო მოძრაობას, რომ ათი დ.ნარმანია და ბუნების შემმუსვრელთა მთელი ნაკრები ვერ იზამდა ამას.

ებრძვიან ვითომც უღირს სასულიერო წოდებას და ეკლესიას (მხილება ყველანაირი, საზოგადოებრივად საშიში ნაკლისა აუცილებელია), მაგრამ გარდა იმისა, რომ საამისოდ საჭირო ელემენტარული განათლება არ გააჩნიათ, სინამდვილეში ღმერთს ებრძვიან, და ეს სულ სხვა ბრძოლაა, შედეგი რომ არ მოაქვს, რადგან შენიღბულია და არსებითად არასწორი. პირდაპირობის სითამამე უნდა გქონდეს ბორის ძნელაძესავით.

დიახ, ამ სრულიად ეკლექტური „სექტორის“ წარმოქმნამ მალევე გამოიწვია რაღაც უკვე ნაცნობის განცდა, რასაც ჯერ ვერ ვაცნობიერებდით და მერე უცებ მივხვდით: „იგივეს მარადიული დაბრუნების“ პირველი წრე — ახალი კომკავშირი რომ დაიბადა თვალწინ, რომელიც მხოლოდ შემოსავლის წყაროს და პრივილეგირებულ საზოგადოებრივ ადგილ-სამყოფელს ეძებდა, მხოლოდ სახელმწიფოს ხედავდა და არა სამშობლოს. ახალი კომკავშირი — ამჟამად ლიბერალური იდეოლოგიით; ქვეყნის ცოცხალ სინამდვილეს მოწყვეტილი, ახლად ნასწავლი თეორიული სტანდარტებით; აბსტრაქტული რიტორიკითა და უცხო ტერმინებით გადატვირთული, გულისშემაღონებლად სტერილური, სქემატური, უმწეო ენით. „სექტორი“, ხან რაღაც სასიკეთოს, რომ აკეთებს, ხან რაღაც საზიანოს, იმისდა მიხედვით რისთვის გასცემს დონორი გრანტს, მაგრამ ყველა შემთხვევაში არბიტრად რჩება. თუმცა, აი, სახეებს გამომეტყველება უქრებათ და თვალებს გამოხედვა, და ინდივიდუალობაც, თუ ის არსებობდა, დნება...

დიდ პოეტს ა. ბლოკს ეკუთვნის გამოთქმა „ლიბერალური ჟანდარმერია“. გამოიკვეთა ახალი, ჩვენთვის აქამდე უცნობი „ლიბერალურ-დემოკრატიული ფუნდამენტალიზმი“, ტოტალიტარული სექტის ნიშნებით. შეუწყნარებლობა, ცინიზმი, ყველას დაცინვა, ყველას მოხსენიება „გოიმებად“ და „ბნელებად“, ვინც მათ არ ეკუთვნით, ფსიქოლოგიურ ტერორში მოქცევა ნაკლებად ნაკითხი, „დისპუტებში“ ნაკლებად გაწაფული, ან თავისთავში დაურწმუნებელი ადამიანებისა, ახალგაზრდებისა.

ესენი გრანტებსა და პროექტებში არ გააჭაჭანებენ იმას, ვინც მათიანი არ არის, მაგალითად, ვინც ხმამაღლა აღიარებს, რომ ქრისტიანია.

და „ნაციონალების“ მიმართ ან ძალიან ლოიალური, ან ღიად თუ შენიღბულად მათი გულწრფელი მხარდამჭერი იყო აი, ეს „სექტორი“ თავისი ტელე-რადიო-ინტერნეტ-გურუებით, ნიშნებს რომ უწერენ თავიანთ მრევლს განსაკუთრებული სიმამაცისათვის „ბნელების“ წინააღმდეგ ბრძოლაში; თავისი მრავალნაირი განშტოებებით: დაწყებული „ილიაუნიდან“, „ნაციონალების“ მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლების, ახალგაზრდული ტრენინგ-ცენტრების, ბანაკებისა თუ სტუდენტური თვითმმართველობების ჩათვლით.

„არასამთავრობოთა“, ამ და ასეთმა ნაწილმა სახელი გაუტეხა იმ შედარებით მცირე ნაწილსაც, რომელიც ადამიანებისა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმიანობას ახორციელებს და თავდაუზოგავადაც. რომელშიც დაგროვდა სოლიდური და სასიცოცხლოდ აუცილებელი სამოქალაქო, პოლიტიკური, იურისპრუდენციული, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი განათლება; საზოგადოებრივი მგრძნობელობა და მოქალაქეობრივი აქტივობის მუხტი. ნაწილი, რომელიც არის ყველაზე მოტივირებული მატარებელი ე.წ. ევროპული ღირებულებებისა და, ამავე დროს, ახალი ცოდნით შეიარაღებული გულშემატკივარი თავისი ქვეყნისა; ნაწილი, რომელიც მრავალ გაჭირვებულს უდგება გვერდით ქალაქად თუ სოფლად, გამოსცემს და უფასოდ არიგებს ძალიან მნიშვნელოვან წიგნებს, პრაქტიკულად ეხმარება სოფლის მოსახლეობას, ბავშვებს, უნარშეზღუდულ ადამიანებს, იცავს პატიმრების უფლებას, ბუნებას, სოფლებს, კულტურას, ადამიანობას...

ამიტომ არის უგუნურობა ერთ ტაფაში მოხრაკო მთელი „არასამთავრობო სექტორი“ და მოითხოვო მისი გაუქმება, როგორც ფრიად როყიოდ ბრძანებს ზოგი ე.წ. პოლიტიკოსი თუ რიგითი „მამულიშვილი“. თუმცა, ამ ლოგიკით, პირველ რიგში, პოლიტიკოსები უნდა აგვეკრძალა საქართველოში, იმდენი უბედურება მოგვიტანეს ყველას.

და ახლა ეს ნაწილი და, საერთოდ, საღი ადამიანები ორ უკიდურესობას შორის იტანჯებიან: ერთი მხრივ, „ლიბერალურ“, მეორე მხრივ, კონსერვატულ ფუნდამენტალიზმს შორის და ორივე მხრიდან იღებენ დარტყმებს.

* * *

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ 45 ადამიანის მოწოდებას ამომრჩევლისადმი, ხმა მისცენ „ნაცებს“. ძალიან არ მსურს ვაწყენინო მათ შორის იმათ, რომლებთან ერთადაც, ალბათ, მომავალშიც მომიწევს ადამიანების, ბაღებისა თუ სახლების დაცვა (და დარწმუნებული ვარ, ზოგ მათგანს არც გახსენებია, რომ მეორე ტურში „ქართული ოცნების“ მეტოქეები „ნაციონალები“ იყვნენ, მეც გვიან გავიგე ეს ამბავი), მაგრამ ჩვენი საქმე იმდენად ცუდად არის უმთავრესში, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მინდა, მოკლედ ვთქვა: **ეს მოწოდება არის კლასიკური მოწოდება უზნეობისკენ.**

ეს არის ადამიანთა ცდუნება, „ამ შემთხვევაში“ გადავიდნენ ბოროტების მხარეზე.

ეს არის „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებული უკუღმართობის აღორძინების (ცნობიერი თუ არაცნობიერი) **სურვილი.**

რომ წავიკითხე, თვალწინ დამიდგა რამდენიმე ახალგაზრდა ამომრჩეველი, ზოგი მათგანი პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ერთს ძმა დაუსახიჩრეს ციხეში (და, როგორც გამიმხილა, სტანჯავს ეჭვი, რომ შეიძლება გააუპატიურეს კიდეც), მეორეს აყურებინეს, როგორ ურტყამდნენ თავში მის 70 წლის მამას ბათინკიან წიხლებს, მესამეს აჩვენეს კომპრომატები საკუთარ ცოლზე, მეოთხეს კი უბრალოდ უხარია, რომ წელს ამ საშინელების გადახაზვა მაინც შეუძლია, რასაც მდაბიო სახელწოდება „ნაცმოძი“ შერჩა. და აი, თუნდაც მხოლოდ ამ ოთხმა ახალგაზრდამ წაიკითხა, რომ მწერლები, პოეტები, ბუნებისა და ადამიანის უფლებათა დამცველები მოუწოდებენ „ქვეყნის ინტერესებიდან“ გამომდინარე ხმა მისცენ ძმის, მამის, მეგობრის, მეზობლის და ა.შ. ჯალათებს! ერთი წუთით შეგიძლიათ მათ ადგილას დადგომა? არ არის ეს მათთვის სამყაროს ჩამონგრევა?

იხ. 8 გვ.

ქართული და უკრაინული პოლიტიკის მესაფლავე

ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა გადადგომის შესახებ განაცხადა. ამ სიახლემ მის სამშობლოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამავე დროს, მის პარტია „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამჯობინეს, ესაუბრათ სააკაშვილის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე არა საქართველოში, არამედ უკრაინაში.

მიხეილ სააკაშვილის ცეცხლოვან სფიჩს ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, დღეს უკლებლივ ყველა ქართული მედიასაშუალება იმეორებდა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ სააკაშვილს ბრძოლის ახალ ეტაპზე საუბრისას საქართველო ერთხელაც არ უხსენებია.

„მე ვარ ჯარისკაცი, რომელიც ივლის, რამდენსაც შეძლებს, ხოლო შემდეგ — იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება. რამდენიც საჭირო იქნება სრული გამარჯვებისა და იმისათვის, რომ უკრაინა გათავისუფლდეს ამ საზიზღრობისგან, ამ კორუფციული ჭუჭყისგან, რომელიც კაპიტალიზდება ჩვენი ჯარისკაცების სისხლზე, მაიდნის მსხვერპლზე, რომელმაც უღალატა უკრაინული რევოლუციის იდეას და რომელსაც ერთადერთი მოტივაცია აქვს — გამდიდრება, საკუთარი კლანების გაძლიერება და უკრაინის საბოლოოდ გაძარცვა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი გადადგომის კომენტირების სურვილი დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ლიდერს როდი ჰქონდა. ხოლო მათ, ვინც მაინც გააკეთა კომენტარი ქართველ ჟურნალისტებთან, ამჯობინეს, ესაუბრათ პარტიის დამფუძნებლის შესაძლო სამომავლო გეგმებზე, რომელიც უკრაინულ ოპოზიციურ პოლიტიკას უკავშირდება. ასე, მაგალითად, გიგი წერეთელმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

„მან (სააკაშვილმა) უკრაინაში ძალზე სერიოზული ოპოზიციური მოძრაობა წამოიწყო. ალბათ, გახსოვთ, ბევრ ქალაქში გაიმართა შეკრებები, დაფუძნდა ორგანიზაცია, მიდიოდა საუბარი პარტიის შექმნაზეც. ალბათ, სწორედ ეს ყველაფერი მოხდება უახლოეს მომავალში“.

ორგანიზაციაზე საუბრისას წერეთელი, ალბათ, პარტია „Хвыля“-ს ჩამოყალიბების გეგმას გულისხმობდა. აი, სააკაშვილის ქართულ გეგმებზე და მით უფრო მის სამშობლოში დაბრუნებაზე დღეს „ნაციონალურ მოძრაობაში“ სიტყვაც არ თქმულა. არადა, 8 ოქტომბრამდე, საპარლამენტო არჩევნებამდე თავად სააკაშვილი და მისი უკრაინაში მომუშავე თანამოაზრეები დაბრუნების პირობას დებდნენ.

ამასობაში ოდესის ოლქის აწ უკვე ყოფილი გუბერნატორის მთავარ პოლიტიკურ პირმშოს — „ნაციონალურ მოძაობას“ რთული პერიოდი უდგას. თანაპარტიელთა აზრი გაიყო — ნაწილი, ითვალისწინებს რა რეკომენდაციებს ოდესიდან, 27 მანდატით პარლამენტში შესვლის წინააღმდეგი იყო, ნაწილი კი ემხრობოდა და ემხრობა ხელმძღვანელობის შეცვლის იდეას. ამას თავად სააკაშვილმაც დაუჭირა მხარი. ახლა პარტია ყრილობისთვის ემზადება, რომელზეც მის თავმჯდომარეს — მიხეილ სააკაშვილს შემცვლელი უნდა უპოვონ, ისევე, როგორც ციხეში მყოფ ლიდერებს — ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პოლიტოლოგი **კორნელი კაკაჩია** ასკვნის:

„სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ იგი საკუთარი თავის ერთდროულად ორ სკამზე შენარჩუნებას ცდილობს — არ მოსწყდეს საქართველოს და არ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა უკრაინაში. თუმცა არჩევნების შემდეგ, როგორც ჩანს, იგი თავად მიხვდა, რომ შორი მანძილიდან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევას ვერ შეძლებდა და გადაწყვიტა, უფრო აქტიური გამხდარიყო უკრაინაში“.

საგულისხმოა, რომ 7 ნოემბერი სააკაშვილის ბიოგრაფიაში დარჩება არა მხოლოდ დღედ, როდესაც იგი ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგა. 9 წლის წინათ, 7 ნოემბერს, როდესაც იგი საქართველოს პრეზიდენტი იყო, ძალისმიერი მეთოდებით დაშალეს ოპოზიციის საპროტესტო აქცია და დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“. სულ ცოტა ხანში კი თავად მან გააკეთა განცხადება გადადგომის თაობაზე. სწორედ 7 ნოემბრის მოვლენებს უკავშირდება სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული ერთ-ერთი საქმე. მას ასევე უფლებამოსილების გადამეტებასა და სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას ედავებიან.

უკრაინელ პოლიტოლოგ **ვლადიმირ ფესენკოს** აზრით, სააკაშვილი უკრაინაში თავბრუდამხვევ წარმატებას არ უნდა ელოდეს:

„სააკაშვილი უკვე შედგა, როგორც თვალშისაცემი უკრაინელი პოლიტიკოსი, თუმცა კრახი განიცადა, როგორც გუბერნატორმა. დიახ, მის პარტიას შეუძლია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში მოხვდეს უკრაინის პარლამენტში. მართალია, ჯერჯერობით ამის წინაპირობები არ არსებობს, მაგრამ ეს იქნება ერთ-ერთი პარტია. მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ სააკაშვილის პარტია ყველას დაამარცხებს და იგი პრემიერი გახდება, მიამიტობა იქნებოდა“.

„ეხო კავკაზა“

◎ მწერალი ბრალსა სდებს!..

ნაირა გელაშვილი:
ბრწყინვალება და სიღატაკე „არასამთავრობო სექტორისა“

(მეშვიდე გვერდიდან) **არ დაუჯეროთ, მეგობრებო! არასოდეს არავის არ დაუჯეროთ, ვინც გეტყვით, რომ ზნეობა სამკაულია, რომელიც შეიძლება ხან მოიხსნა, ხან გაიკეთო. ანდა შეიძლება გადასდო. დღეს შეგიძლია კეთილი და სამართლიანი იყო, ხვალ შეიძლება უსამართლობა და ძალადობა დაგჭირდეს; რომ (ნეოლიბერალურ-პოსტმოდერნისტული ნიჰილიზმის შესაბამისად) არაფერი არ არის მყარი და ეს მორალი რაღა გახდა, რომ ყოველთვის დავიცვათ. ეს არის იმ პოლიტიკურ-არასამთავრობო სპექტრის ხმა, რომელთა ლექსიკური მარაგიდან ამოღებულია სიტყვა „წესიერება“.**

არ დაუჯეროთ მათ. თუ მორწმუნეები ხართ, დაუჯერეთ ღმერთს და მის ათ მცნებას, საიდანაც ერთ-ერთია, რომ სამარცხვინო საქციელის ჩადენა ფუნდამენტური ცოდვაა, რომ რა საზომითაც შენ გაზომავ, იმავე საზომით გაიზომები, და „კონსტიტუციური უმრავლესობა“ აქ ვერავის უშველის.

თუ ურწმუნოები ხართ, დაუჯერეთ კაცობრიობის რჩეულ ადამიანებს, თუნდაც დიდ მოაზროვნესა და მწერალს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, რომელიც ამბობს, რომ **„სამშობლოს უჭირს“** (ჩვენს შემთხვევაში: „არ შეიძლება კონსტიტუციური უმრავლესობა ერთი პარტიის ხელში“) **აბსტრაქციაა, მაგრამ გლეხს რომ სახლი ეწვება** (ჩვენს შემთხვევაში: ადამიანს რომ აწამებენ) — **ტრაგედია“.**

ან დაუჯერეთ დიდ ფილოსოფოსს ემანუილ კანტს, რომელიც გეტყვით, რომ **„არცერთი წესიერი ადამიანი რომ არ არსებობდეს ამქვეყნად, შენ მაინც მოგეთხოვება წესიერი იყო“** (არა ხანდახან, არამედ ყოველთვის) და სამყაროს ურიცხვი სასწაულიდან ორი რამ იწვევს მის უსასრულო აღფრთოვანებას: **„ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა და მორალური კანონი მის შიგნით“.**

ამ კანონით თამაში დამღუპველია. მისით მანიპულირება არ შეიძლება. ნუ გახდებით ზნეობრივი მაკიაველიზმის მსხვერპლი, რომელიც პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ამართლებს უარის თქმას უმთავრესზე — სინდისზე და თან შეგაგონებთ, რომ ამით მხოლოდ კარგი მოხდება ქვეყნისთვის.

ირგვლივ გაბატონებული ასეთი წარმოდგენების შედეგია, რომ საძირკველიც კი ვერ გავჭერით კარგი, მწვანე, ნათელი ქვეყნისა (რასაც მთელი ქვეყნის მომცველი ახალი სამოქალაქო მოძრაობა სჭირდება).

წესიერებაზე ამ „ლაითი“ წარმოდგენების შედეგია, ქვეყნის საჭესთან მსხდომნი ამ საჭეს ასე უპასუხისმგებლოდ რომ ატრიალებენ წაღმა-უკუღმა, რომ არ ახსოვთ, მათ უკან ქალები და ბავშვები რომ არიან, ისევე როგორც არ ახსოვთ ეს იმ მძღოლებს, დაზიანებული მანქანით უდროო დროს რომ დაქრიან საშიშ ტრასაზე ყურში მუსიკით.

და რაც უფრო მალე დავივიწყებთ იმ დანაშაულებს, რომელთა ჩამდენებიც, 37 წლის ავტორებისა და აღმასრულებლებისა არ იყოს, არ გასამართლებულან და არ დასჯილან, მით უფრო დაიგვიანებს ჩვენი მომავალი: წინ უდანაშაულო მსხვერპლთა ცხედრები აეღობებიან...

ნება მიბოძეთ ეს წერილი დავამთავრო ორი ფრაგმენტით ესმა ნოზაძის პოემიდან, რომელიც 1995 წელს არის დაწერილი და ჰქვია **„ჟამის მამალი“**:

**„ეჰეიიი

ჟამი ქვათა განთვანტვისა

უკრაინაში დასრულდა ჟამი ქვათა შეგროვებისა და დადგა ჟამი ქვათა განფანტვისა.

ანუ, დასრულდა ჟამი საქართველოდან გაქცეულ ნაცთა – სისხლის სამართლის დამნაშავეთა, ბოროტმოქმედთა უკრაინაში თავმოყრისა და დადგა ჟამი ყოვლად გაუგებრად, აუხსნელად მაღალ თანამდებობაზე მათი ყელყელაობის დასრულებისა, დათბილული ადგილებიდან გამოყრისა.

ანუ დასრულდა ჟამი უკრაინის ხელისუფლების თვალის დაბრმავებისა და ყურის მოყრუებისა საქართველოს ჯიბრზე, საქართველოს გულის გასახეთქად.

გუშინწინ ოდესის გუბერნატორმა მიხაილ ნიკოლაევიჩ სააკაშვილმა, ოდესღაც საქართველოს პრეზიდენტმა და გუშინდლამდე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, განცხადება დაწერა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ანუ მოწყალება მიიღო და კობზარის ქვეყანა გაათავისუფლა მაჯლაჯუნისგან, როგორსაც თვითონ წარმოადგენს.

სხვათა შორის, ის მეორე ქართველია ერთი საუკუნის მანძილზე, რომელმაც ოდესის მეზობლად, ყირიმში, სამარცხვინო სახელი დატოვა თავისი უხიაკი ხასიათითა და სისასტიკით.

ლაპარაკია იალტის გრადონაჩალნიკზე, იმპერატორმა საგანგებოდ მისთვის საკანონმდებლო გზით რომ დააწესა სპეციალური პოსტი – „ქალაქ იალტის გრადონაჩალნიკი“, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორ ივანე დუმბაძეზე (1851-1916) მას უკანასკნელი მეფის ყველაზე სისხლიან ოპრიჩნიკად მიიჩნევდნენ რუსი დემოკრატები. „დუმბაზიაში“, როგორც ყირიმს ნათლავდნენ ლიბერალური გაზეთები, იმპერიის ისედაც ფრთამოკვეცილი კანონებიც კი არ მოქმედებდა. მოქალაქეთა სიცოცხლე მთლიანად მეფის ამ უერთგულესი მსახურის ქეიფზე ეკიდა. მისი სამართალი უწყალო და სწრაფი იყო. როცა 1907 წელს ესერებმა ი. დუბმაძეზე წარუმატებელი თავდასხმა მოაწყვეს, გენერალმა ბადრაგს უბრძანა ალყა შემოერტყათ სახლისთვის, საიდანაც ბომბი ესროლეს და შიგმყოფებიანად დაეწვათ. სხვათა შორის, ეს რუსი დერჟიმორდა ახალგაზრდობაში... ქართველი ნაციონალისტი გახლდათ.

დუმბაძის მოღვაწეობამ ისეთი სკანდალური ხასიათი მიიღო, რომ თვით უქვეშევრდომლესი ოქტიაბრისტებიც კი იძულებული გახდნენ, მის შესახებ შეკითხვა დაესვათ სახელმწიფო სათათბიროში. ძველ სალდაფონს მიეთ-მოეთი და თავის დაძვრენა არ დაუწყია. სათათბიროში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში წარბშეუხრელად დაადასტურა ყველა მისდამი წაყენებული ფაქტის სისწორე და ისიც დაუმატა, „საჭიროდ არ ვთვლი, ველოლიავო ლიბერალებსა და მემარცხენეებსო“.

აკუკები და მაკუკები

ასეთივე უჯიათი და თავისნათქვამა იყო ოდესის გუბერნატორი საკაშვილი, ოღონდ, რა თქმა უნდა, შეცვლილ ისტორიულ და გეოგრაფიულ გარემოში, არა სისხლითა და ხოცვა-ჟლეტით, რისი დიდი გამოცდილებაც მან საქართველოში 9-წლიანი მმართველობის პერიოდში მიიღო, მაგრამ უკრაინაში ჯერჯერობით ვერ გამოიყენა.

ჯერჯერობითო, იმიტომ ვამბობ, რომ უმადურმა გუბერნატორმა გადადგომის შესახებ განცხადება კი დაწერა და არა მარტო ამ გუბერნიაში მცხოვრებნი გაახარა, მაგრამ ისიც მიაყოლა, უკრაინიდან არსად წასვლას არ ვაპირებ, აქ ვიბძროლებ, რათა ქვეყანა კორუფციის საცეცებიდან გავათავისუფლოო.

როგორც ირკვევა, ის თავისი პარტიის შექმნას და ხელისუფლებაში მოსასვლელად ბრძოლას აპირებს.

თუ ეს მართლაც ასეა (ან რა დაუშლის, რომ სწორედ ასე იყოს!) ბატონ პეტრო პოროშენკოს შავი დღე დასდგომია და სწორედ ახლაა დრო, მივუსადაგოთ ერთი ქართული ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. მან ხომ თვითონ, თავისი ხელით გამოზარდა ეს მონსტრი, თვითონ ჩაიყვანა და უყარა საკენკი, როცა საქართველოდან გაქცეული დაეხეტებოდა აღმა-დაღმა. მარტო ის კი არა, მართლმსაჯულების სათაგურს დამსხლტარი მისი გუნდის წევრები (მარტო ქართველი ჰიმლერის ზურაბ ადეიშვილის სახელის ხსენებაც კმარა). არად ჩააგდო მეგობარი, მის ბედში მყოფი საქართველოს აჯა სახელმწიფო დამნაშავეების გადაცემის შესახებ. პირიქით უფრო უმატა მათს გურგურს.

საინტერესოა, ახლა რას იტყვის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, როცა ყოფილი გუბერნატორის კრიტიკა და მახვილი დაატყდება თავს ნავარჯიშევი ხელით, ამერიკაში აპრობირებული მეთოდებით.

ყველაფერს გააკეთებს მიზნის მისაღწევად ყოფილი გუბერნატორი, რომელსაც სამშობლოში დასაბრუნებელი უკვე არც ძალა აქვს და არც დასაყრდენი. ჰოდა, შეუდგება (უფრო სწორად, ღიად გააგრძელებს) ქვეძრომობას, ოდესიდან გვირაბს გათხრის კიევამდე თანამეცხედრე სანდრას ხელმძღვანელობით, საქართველოდან ახალ-ახალ თანამებრძოლებს გაიწვევს, მით უფრო, ახლა აქ უსაქმოდ სხედან გაკუკი გაბაშვილი, აკუკი მინაშვილი, ეკუკი ხერხეულიძე, დაკუკი დარჩიაშვილი და სხვა კუკები და მოკუკები...

და მოსალოდნელია უკრაინის ახალმა, ძალად მაცხონე „გამათავისუფლებელმა“ მოძრაობამ ისე არიოს ქვეყანა, რომ მთელი ეს საუკუნე არ ეყოს დასალაგებლად.

თუმცა კიდევ ერთი რამაც არის მოსალოდნელი – გაბეზრებული უკრაინელები ქუჩაში წვდნენ მათ არამკითხე „გადამრჩენს“ და გალიით გამოგვიგზავნონ ბოდიშებითა და მოკითხვებით.

ალეკო ასლანიშვილი

საქმე №1/77-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

Ш.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **აკაკი გოგუაძე, გიორგი ცინაძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე აკაკი გოგუაძისა და გიორგი ცინაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 4 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა" და აკაკი გოგუაძეს შორის დაიდო №031514325 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1620 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 66 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2015 წლის 4 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა" და გიორგი ცინაძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოპასუხე აკაკი გოგუაძესა და გიორგი ცინაძეს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ცინაძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, ისე საქმის მასალებით წარმოდგენილ მის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი ცინაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ცინაძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების მისამართზე არ იმყოფება, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გიორგი ცინაძეს (პირადი №01026011440) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. გიორგი ცინაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე აკაკი გოგუაძესა და გიორგი ცინაძეს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 28 ნოემბერს 11:00 საათზე Ш.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით აკაკი გოგუაძისა და გიორგი ცინაძის მიმართ.

5. აკაკი გოგუაძესა და გიორგი ცინაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულინი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ჭადრაკი

„ნონა“ – ლიდერებში

ძალთა 14 და ვაჟთა 62 გუნდი მონაწილეობს მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც სერბული ნოვი სადი მასპინძლობს. ტურნირში ტიტულის დასაცავად იბრძვის მსგავსი შეჯიბრებების ბოლო ორი წლის გამარჯვებული ბათუმის „ნონა“ (ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, მირანდა მიქაძე, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე). ასპარეზობის რეიტინგფავორიტია საკლუბო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული „მონტე კარლო“. მის სპორტულ ღირსებას იცავენ ვარსკვლავები - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი), ანა მუზიჩუკი, მსოფლიოს ექსჩემპიონი მარია მუზიჩუკი (ორივე-უკრაინა), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი) და ევროპის ჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი).

ჩემპიონატზე შვეიცარიული სისტემით 7-7 ტური გათამაშდება. **პირველ ტურში** „ნონამ“ ყაზანის „ლადიას“ აჯობა 3.5:0.5 (ალისა გალიამოვა-ნანა ძაგნიძე 0.5:0.5, კარინა ამბარცუმოვა – ნინო ბაციაშვილი 0:1, ვერა ნებოლშინა – ბელა ხოტენაშვილი 0:1, ლუბოვ მარკელოვა – მირანდა მიქაძე 0:1). ქალთა შორის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „მონტე კარლო“ – „ლაციო“ (იტალია) 3:1, „იუგრა“ (რუსეთი) – „ფიშერის კლუბი“ (იტალია) 3:1, „მიდლენდი“ (ინგლისი) – „მოსკოვი“ 0.5:3.5, „ოდლარ იურდუ“ (აზერბაიჯანი) –„რიშონი“ (ისრაელი) 3.5:0.5, „ავსტრია“ – „პეტერბურგი“ 0.5:3.5, „გორაჩიჩი“ (სერბეთი) – „მარგირისი“ (კაუნასი) 3:1.

მე-2 ტური. „ნონა“ – „პეტერბურგი“ 2.5:1.5 (ნანა ძაგნიძე – ანასტასია ბოდნარუკი 1:0, ნინო ბაციაშვილი – ევგენია ოვოდი 0.5:0.5, ბელა ხოტენაშვილი – დინა ბელენკაია 1:0, სალომე მელია – ალინა ბალაიანი 0:1), „მოსკოვი“ – „მონტე კარლო“ 1:3, „იუგრა“ – „ოდლარ იურდუ“ 2.5:1.5, „ლაციო“ – „გორაჩიჩი“ 3:1, „ფიშერი“ – „მიდლენდი“ 2.5:1.5, „კაუნასი“ – „რიშონი“ 2.5:1.5, „ავსტრია“ – „ლადია“ 0.5:3.5.

***ორი ტურის შემდეგ** 4-4 ქულით „ნონა“, „მონტე კარლო“ და „იუგრა“ დაწინაურდნენ.*

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

ქუთაისის სპორტის სასახლეში

დაიწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის (IHF) გათამაშება, რომელშიც მთავარი პრიზისთვის 20-წლამდელ ვაჟთა შვიდი გუნდი იბრძვის. ისინი ორ ჯგუფში გადანაწილდნენ: A ჯგუფი: ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, ბრიტანეთი; B ჯგუფი: კოსოვო, მალტა, მოლდოვა. წრიული შეხვედრების შემდეგ ორ-ორი საუკეთესო მთავარი პრიზისთვის ნახევარფინალში დაუპირისპირდება ერთმანეთს. შეჯიბრება 13 ნოემბერს დასრულდება. საქართველოს ნაკრები სამჯერ მონაწილეობდა ჩელენჯ-ტროფიზე: 2008 წელს ჩვენმა გუნდმა თბილისში შესარჩევი შეჯიბრება მოიგო, ხოლო ფინალში, რომელსაც ნორვეგიის ქალაქმა დრამენმა უმასპინძლა, ლუქსემბურგი დაამარცხა – 28:27. ორი წლის შემდეგ ქართველმა ხელბურთელებმა ისევ მოიგეს შესარჩევი ტურნირი, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა ავსტრიაში ფინეთთან 28:30 დათმეს. 2012 წლის ჩელენჯ-ტროფიზე 23-წლამდელებმა იასპარეზეს. საქართველოს ნაკრებმა წინასწარ ეტაპზე ინგლისი (31:25) და ირლანდია (37:21) დაამარცხა, ფარეერებთან კი 21:23 წააგო.

საქართველოს ნაკრები ქუთაისურ ტურნირზე ასეთი შემადგენლობით თამაშობს: ზურაბ ცინცაძე („პეგასი“), სანდრო ხანდოლიშვილი („ქარიშხალა“), ხაზეინ რუსტამოვი („ქუთაისი“), კარლო მათნაძე („ქუთაისი“), ზეზვა იობაშვილი („იმედი თელავი“), თემურ ორჯონიკიძე („პრილეპი“, მაკედონია), ზურაბ გოგავა („პეგასი“), გიგა ბაინაზიშვილი („იმედი თელავი“), გიორგი ცხოვრებაძე („პეგასი“), გიორგი დიხამინჯია („პეგასი“), ირაკლი გოგოლაძე („ბათუმი“), ერეკლე არსენაშვილი (სტუ), გიორგი მიქავა („იმედი თელავი“), გიორგი ლაპიაშვილი („პეგასი“), მწვრთნელები – ბექა ორჯონიკიძე, ტიტე კალანდაძე, გუნდის უფროსი ჯემალ ბარამიძე.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ისევ ასეულშია

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი შარშან 19 ოქტომბერს მსოფლიო კლასიფიკაციაში 86-ე ადგილზე იყო. მას შემდეგ ჩვენებურმა პირველი ასეული დატოვა, თუმცა, ბოლო რამდენიმე ტურნირში მან კარგად ითამაშა და შედეგმაც რეიტინგზე დადებითად იმოქმედა - ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციის განახლებულ კლასიფიკაციაში 626 ქულით 96-ეა. დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელთა მაჩვენებლები ასეთია:

ვაჟები

ერთეულები. 422 (420). ალექსანდრე მეტრეველი (97), 807 (807). გიორგი ცივაძე (22), 1764 (1754). ალექსანდრე ბაქში (1), 1764 (1754). შოთა მეფარიძე (1), 2070 (2067). გიორგი ჯავახიშვილი (1).

ქალები

ერთეულები. 201 (197). სოფიო შაფათავა (272), 273 (274). ეკატერინე გორგოძე (171), 449 (449). მარიამ ბოლქვაძე (74), 522 (529). სოფიო ქვაცაბაია (54), 846 (789). ოქსანა კალაშნიკოვა (15), 1085 (1084). ანა შანიძე (7).

წყვილები. 43 (43). კალაშნიკოვა (1755), 193 (197). შაფათავა (342), 272 (273). გორგოძე (221), 410 (409). ქვაცაბაია (122), 546 (548). ბოლქვაძე (73), 734 (725). თათია მიქაძე (37), 1143 (1143). შანიძე (10), 1278 (1279). ლანა კენჭიაშვილი (3).

გივი გაგუა

◎ რაგბი

საქართველოს ავსტრალიელები შეემატნენ

ნოემბრის ტესტების პირველ მატჩამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა და მისმა ასისტენტმა ლევან მაისაშვილმა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებას სამწვრთნელო შტაბის ორი ახალი წევრი წარუდგინეს.

ორივე ავსტრალიელია – შერკინების მწვრთნელი ბრედ ჰარისი და ხაზის კონსულტანტი, ცნობილი სპეციალისტი რიჩარდ გრემი, რომელიც „ბორჯღალოსნებს“ ოკეანეთის ტურნეშიც ეხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ გარდა უშუალო მოვალეობისა ორივე სპეციალისტი ჩაერთვება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების და სარაგბო აკადემიის საქმიანობაში, რაც ქართულ რაგბის დიდ წარმატებას მოუტანს.

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

აკაკის 10 ქულა

რუსეთის სუპერლიგა 1-ში მორიგი გამარჯვება მოიპოვა აკაკი დვალიშვილის „ნოვოსიბირსკმა“. ციმბირულმა გუნდმა სეზონის 5 მოგებით დაწყების შემდეგ გასულ ტურში წაიფორხილა „სპარტაკ-პრიმორიესთან“ – 73:81 თუმცა, გუშინ კვლავ იმარჯვა. ნოვოსიბირსკელები მოსკოვის რეგიონის გუნდ „ხიმკი-პოდმოსკოვიეს“ ესტუმრნენ და ძალიან იოლად – 85:50 იძალეს.

ქართველი ფორვარდი საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა. დვალიშვილი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაება და მოედანზე გატარებულ 14 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. აკაკიმ 8-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, 1 ჯარიმა მიიღო და ბურთი 3-ჯერ დაკარგა. ციმბირულ კლუბში 13-13 ქულით კონსტანტინ პომოგალოვი და კირილ პისკლოვი გამოირჩნენ.

6 მოგებით და 1 წაგებით „ნოვოსიბირსკი“ მეორე ადგილზეა და მომდევნო მატჩს ხვალ ერევანში „ურარუსთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კრიმინალი

მკვლელობა საფეხბურთო მოედანზე

ტრაგედიით დასრულდა მექსიკის ქალაქ ტულანსინგოში გამართული სამოყვარულო ლიგის მატჩი. თამაშის მიმდინარეობისას ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელმა რუბენ რივერა ვასკესმა 59 წლის მსაჯი ვიქტორ ტრეხო მოკლა.

როგორც მექსიკური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, არბიტრი ვასკესს უხეშობისთვის მოედნიდან აძევებდა, როცა ფეხბურთელმა მას სახეში თავი ჩაარტყა. დარტყმის შემდეგ მსაჯი უგონოდ დაეცა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ფეხბურთელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და პოლიციამ ძებნა გამოაცხადა, თუმცა, დამნაშავის დაკავება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

გიორგი შოთაძე

◎ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

ბრაუნი: შუმახერი იმედისმომცემ ნიშნებს ავლენს

„ფერარისა“ და „ბენეტონის“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი, „ბრაუნის“ ყოფილი მფლობელი და „მერსედესის“ ფ1-ის გუნდის ყოფილი შეფი როს ბრაუნი ამბობს, რომ ფ1-ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი იმედისმომცემ ნიშნებს ავლენს.

შუმახერი ბრაუნის თანაგუნდელი იყო „ბენეტონში“, „ფერარისა“ და „მერსედესში“, რომელთაგან თავისი ტიტულები პირველ ორში მოიპოვა, 2013 წლის ბოლოს კი თხილამურებით სრიალისას ინციდენტი შეემთხვა, რომლის დროსაც თავის მძიმე ტრავმა მიიღო. კომაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ მან კრიზისი კი დაძლია, თუმცა, ჯერაც მკურნალობს.

ამჟამად ის ჟენევაში, საკუთარ ვილაში მკურნალობს და სარეაბილიტაციო კურსს გადის. ოჯახი ცდილობს, რომ მასზე ინფორმაცია არ გავრცელდეს, რათა ყველანაირი სპეკულაცია გამორიცხოს. ბრაუნი ამბობს, რომ ამას ითვალისწინებს და შუმახერის მდგომარეობაზე ამბობს მხოლოდ იმას, რომ ფ1-ის ყველაზე ტიტულოვანი პილოტის მდგომარეობა იმედისმომცემია.

„ჩვენ ყველანი ვლოცულობთ იმისთვის, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. იმედისმომცემ ნიშნებს ვამჩნევთ, თუმცა, ოჯახის სურვილის გათვალისწინებით, ბევრს ვერაფერს ვიტყვი. მიხაელის მდგომარეობაზე ბევრი სპეკულაცია ვრცელდება, მაგრამ მათი უმეტესობა სიმართლეს არ შეესაბამება. იმედი გვაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს გარეთ ვიხილავთ, გამოჯანმრთელებულსა და საღს“, – ამბობს ბრაუნი.

გადრი იაშვილი

SIC! ყვარლის რაიონის სოფლებში გოგონებს წინდაცვეთას აიძულებენ

საერთაშორისო ორგანიზაცია „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი“ (IWRP) კვლევას აქვეყნებს, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ავარებს შორის გოგონათა წინდაცვეთის პრაქტიკას ეხება. კვლევის თანახმად, ასობით ავარ გოგონას ყვარლის რაიონის სოფლებში - თივიში, სარუსოსა და ჩანტლისყურეში, სადაც ბევრი ეთნიკური ავარი ცხოვრობს, წინდაცვეთას აიძულებენ.

ორგანიზაცია წერს, რომ საქართველოს მთავრობაში განუცხადეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გოგონათა წინდაცვეთის პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას არა ფლობენ. მსგავსი ფაქტების შესახებ მონაცემები არა აქვთ ადგილობრივ არასმთავრობებსა და უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც.

„ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ინფორმაციით, აგვისტოში ორგანიზაციამ „რუსეთის სამართლებრივი ინიციატივა“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმადაც, დაღესტანში ათობით ათას ქალსა და გოგონას წინდაცვეთა აქვს ჩატარებული. კვლევის თანახმად, სასქესო ორგანოს ნაწილს ძირითადად ერთიდან სამ წლამდე ასაკის გოგონებს სახლის პირობებში აჭრიან.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნანი შავგულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანი შავგულიძე (პ/ნ 01026004479), თბილისი, იოსებიძის 61ა, ბინა №12.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, იმედაძის I გას. №12 (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.092).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 58996.30 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 9 ნოემბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 22 ნოემბერი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP37015416;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 370154
6. **მოვალე:** პაატა ბიძინაშვილი (პ/ნ 12001061953), გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი;
ნანი შავგულიძე (პ/ნ 01026004479), თბილისი, იოსებიძის 61ა, ბინა №12.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP37015416; ლოტის ნომერი: 370154).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 21 ნოემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ კრიმინალი

მკვლელს 18 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი მამუკა მუხიდინოვი დამნაშავედ სცნო დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჩადენაში.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 21 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ, განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევ მამუკა მუხიდინოვს თავისივე საცხოვრებელ სახლში, წარსულში არსებული უთანხმოების მიზეზით ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ვეფხვია მათურელთან, რა დროსაც მამუკა მუხიდინოვმა შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ვეფხვია მათურელს სანადირო თოფიდან თავის არეში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად ვეფხვია მათურელი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მამუკა მუხიდინოვი 2016 წლის 22 მაისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა არაერთგზის) წარედგინა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მამუკა მუხიდინოვი სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

თანასოფლელი სანადირო თოფით მოკლა

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული ა. ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გორის რაიონის სოფელ რეხაში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1973 წელს დაბადებულ ზ.ქ. და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.ჯ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ხაშურის რაიონის სოფელ აგარებთან, საავტომობილო გზაზე ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს. პოლიციამ ავტომანქანის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ხსოვნა

ვახტანგ ყორშიას!

ჩვენო ყურშა! სხვანაირად ვერ მოგმართავთ. მრავალი ათეული წლის წინ ჩვენი შეხვედრის პირველსავე დღეებიდან ამ სახელით გახდი ჩვენი ერთობის განუყოფელი ნაწილი. ამ სახელით გეფერებოდით და გეკამათებოდით. ამ სახელით ვიცხოვრეთ ერთად 50 წელზე მეტი.

ეს ნაწერი არამც და არამც არ არის ჩვენი გამოსათხოვარი შენთან, ვინაიდან გამოსათხოვარი, შესაძლოა, მომავალში დავიწყებასაც გულისხმობდეს. ახლა რომ ჩვენს გვერდით იყო, პირველი შენ იტყოდი, რომ ეს არ მოხდება და ამის დასტურია ჩვენი ერთად გავლილი ცხოვრება.

მრავალმხრივ გამორჩეული იყავი. სპეციალობით ჰიდროგეოლოგმა უსაზღვრო ავტორიტეტი მოიპოვე კოლეგების წრეში. თავდაუზოგავად, მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით, ინტერესით აკეთებდი საყვარელ საქმეს. საქმეში იწვოდი. სხვისთვის მიუწვდომელი სიღრმეებიდან ისრუტავდი ცოდნას და გამოცდილებას, და უშურველად გასცემდი. ვინ დათვლის შენი ხელით რამდენი ოჯახისათვის შეგიტანია სასმელი წყლის მოხმარების მადლი. ამ ოჯახებს არა მარტო წყალს უზიარებდი, არამედ ღვთისგან მონიჭებულ სიკეთეს, შენთვის დამახასიათებელი თავმდაბლობითა და უბრალოებით.

განსაკუთრებული იყავი მეგობრების წრეში. სადაც არ უნდა შემოსულიყავი, ნათელი სხივი შემოგქონდა, ხალისი და ოპტიმიზმი ისადგურებდა. დიდი გული გქონდა. შენი დიდი ოჯახისა და მეგობრების სიყვარულს, რომელსაც ისინი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდნენ, გვიკვირს, რომ იტევდა, და ვაი რომ, ველარ გაუძლო. ვერ გაუძლო იმიტომ, რომ მუდმივად ფიქრობდი ადამიანებზე. მათ დასახმარებლად შენგან გაღებული მატერიალური, ფიზიკური თუ სულიერი სიკეთის გაზიარების საოცარი სურვილი და ძალა გქონდა.

დარჩელიდან თბილისში ჩამოსული ჩია ტანის კაცი, შენი დიდი სულით, ნიჭით, ერთგულებით, სამართლიანობით, უანგარობით, გულწრფელობით, სულ მალე ჩვენთვის ძალიან დიდ კაცად იქეცი და ჩვენთვის მისაბაძი გახდი. კარგად ვხვდებოდით, რომ ეს ასე იყო, მაგრამ სადღეგრძელოშიც კი არ გვაძლევდი ამის აღნიშვნის უფლებას შენი უკიდეგანო თავმდაბლობის გამო.

ჩვენო ყურშა, ახლა ვდგავართ ჩვენს ფიზიკურ გზაგასაყარზე და გპირდებით, სადაც არ უნდა ვიყოთ, ერთად ვიქნებით. რა ფორმით? ამას უფალი განსჯის. ვეაჯებით ყოვლის შემძლეს, ნათელში გვიმყოფოს შენი სული, ხოლო ჩვენგან და შენი დიდი ოჯახისგან შენს საფლავზე ჩამწვარი სანთლების ნაღვენთი არ მოგაკლდება გახსენების ცრემლებად.

შეხვედრამდე ძმაო.

შენი მეგობრები

სანთელი

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი თაობის დამსახურებული კოლეგა, თანატოლი, მეგობარი, ქალბატონი

ლეილა კაკულია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

გამორჩეული თურქული რესტორანი

სასტუმრო „რადისონ ბლუმ“ ახალ რესტორანი და ტერასა – „ეთიმ“ გახსნა.

რესტორან „ეთიმის“ კონცეფცია მოიცავს თურქული

დიზაინის მსუბუქ შტრიხებს და ტრადიციული თურქული მომსახურების სტილს. მთავარი მენიუ კი თურქმა შეფ-მზარეულმა ფატიჰ ილმაზმა შექმნა, რომელიც სპეციალურად რადისონ ბლუ სტამბულიდან ჩამოვიდა ბათუმში..

მენიუ შეიცავს ისეთ ნაცნობ, ტრადიციულ, თურქულ კერძებს როგორიცაა: მეზეს ასორტი, ლაჰმაჯუნი, კოფტე ყველთან და კარაქიან ფლავთან ერთად. ხოლო ჯეზვეში მომზადებული თურქული ყავის ნამცხვარი ნაყინთან ერთად კი ნამდვილად შეძლებს თქვენს სასიამოვნოდ გაოცებას.

გარდა იმისა რომ, შეფ-მზარეულსა და მომსახურე პერსონალს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს თურქული კერძების მომზადებასა და სერვირებაში, ასევე კარგად იცნობენ თურქულ ტრადიციებსა და კულტურის თავისებურებებს, რაც თურქი სტუმრების ვიზიტს მეტად სასიამოვნოს გახდის. მომსახურების სერვისს კი რესტორნის თურქი მენეჯერი ილჰამ კანი გააკონტროლებს, რომელიც ასევე მეზობელი სასტუმროდან ეწვევა ბათუმს.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედება კაცობრიობის საკუთრებაა



ბედნიერია ერი, რომელსაც ჰყავს ისეთი შვილი, როგორიც ლადო გუდიაშვილი ბრძანდება, ბატონმა ლადომ დიდების გვირგვინი დაიდგა თვითონ და დაადგა ქართველ ხალხსაც და ქართულ სახელმწიფოსაც. თავისი დიდი შემოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში, ცივილიზაციაში. ქართველ ხალხს ერთი კარგი თვისება გვაქვს — ვიცით ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებული შვილების დაფასება, მათი არდავიწყება და მომავალი თაობებისთვის მათი ღვაწლის გადაცემა.

დიდი მადლობა ლადოს ახლობლებს, მისი ოჯახის წევრებს, რომელთაც თავი მოუყარეს მის დიდ მემკვიდრეობას, შეუნახეს ის მომავალ თაობებს.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედება კაცობრიობის საკუთრებაა. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ის ჩვენი შვილია.

უღრმესი პატივისცემით
მარიამ ლორთქიფანიძე

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ძველი თაობის საამაყო კორპუსის ბრწყინვალე წარმომადგენელს, სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი ცნობილი სოლიდური სამშენებლო ტრესტის თავკაცს, შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ

როლანდ იოსელიანს.

◎ ანეკდოტები

სამი მებაჟე ბჭობს იმაზე, რა საჩუქარი უნდა მიართვან მეოთხეს დაბადების დღეზე.

— მოდი, „მერსედეს 600“ ვაჩუქოთ! — ამბობს პირველი.

— ეგ ხომ ისედაც აქვს!

— მაშინ კანარის კუნძულებზე ვილა ვუყიდოთ! — წინადადება შემოაქვს მეორეს.

— ეგ ხომ შარშან ვაჩუქეთ!

— მოვიფიქრე! — გახარებული შესძახებს მესამე. — მოდით, თავის დაბადების დღეზე ის სამსახურში მარტოკა დავტოვოთ!

— შენ რა, სულ გაგიჟდი, — ერთხმად შეჰკივლებს პირველი ორი მებაჟე. — უბრალო დაბადების დღეზე ასეთი ძვირიანი საჩუქრის გაკეთება ვის გაუგია!

* * *

— **იცი**, ჩემო კარგო, მოდი, ყოველ ჩვენს ჩხუბზე ყულაბაში თითოლარიანი ჩავაგდოთ! — ეუბნება ცოლი ქმარს.

— შენ მე მილიონერი ხომ არ გონივარ, ქალო, რასაა რომ მთავაზობ! — სახე ეღრიცება მეუღლეს.

* * *

— **გავიგე**, იავადმყოფე ძმაო, — ეუბნება კაცი დიდი ხნის უნახავ მეგობარს. — ახლა როგორ ხარ?

— რა მიჭირს, კარგი ექიმი შემხვდა — მითხრა ორ კვირაში ფეხზე დაგაყენებო.

— მერე, დაგაყენა?

— დამაყენა, აპა არა? მკურნალობის საფასურის გადასახდელად მანქანა გავყიდე და...

* * *

რუსეთში სექსი ტელეფონით:

— აი, ახლა, ძვირფასო, მე ვიხდი ერთ წინდას... ახლა ვიხდი მეორეს... ახლა მესამეს მივადექი...

— ეჰ, მოიცა, მოიცა, შენ ჩერნობილიდან ხომ არა ხარ, ჩემო კარგო?

— ჩერნობილიდან კი არა, ვეხოიანსკიდან, აქ კი იცი რა სიცივეებია, გაგიჟდები!..

◎ დედაქალაქი

თბილისის კამერული მუსიკის XI ფესტივალი

ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 8-13 ნოემბერს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება თბილისის კამერული მუსიკის XI ფესტივალი.

ფესტივალი ვოკალური მუსიკის საღამოთი გაიხსნება, რომელზეც მსმენელის წინაშე მეგი ჩიხრაძე (სოპრანო) და თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო) წარდგებიან. მასში ასევე მონაწილეობენ საერთაშორისო ჯილდოების მფლობელი ქართველი ხელოვანები: ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეები, ჯგუფი „The Quintessence“, ნიკოლოზ რაჭველი (ფორტეპიანო), ოთარ მაღრაძე (ფორტეპიანო), ნინო გულიაშვილი (ფორტეპიანო) და სხვა.

ფესტივალი 2006 წლიდან ტარდება. მასში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა თაობისა და პროფილის ქართველი და უცხოელი შემსრულებლები — ინსტრუმენტალისტები და ვოკალისტები.

ზოოპარკის ახალი ბინადარნი

თბილისის ზოოლოგიურ პარკს თერთმეტი ახალი ცხოველი შეემატა. საფრანგეთის ოვერნის ზოოპარკმა საჩუქრად ცხრა ბერბერული მაკაკა და ორი ემუს ჯიშის სირაქლემა გამოგზავნა. ცხოველები 7 ნოემბერს, გამთენიისას, თვითმფრინავით ჩამოიყვანეს. წლეულს თბილისის ზოოპარკმა ევროპის ზოოპარკებისგან საჩუქრად, 70-ზე მეტი ცხოველი მიიღო. უახლოეს მომავალში იგეგმება ბენეტას ვალაბების (საშუალო ზომის კენგურუ), აფრიკული პინგვინების, დაბლობის ტაპირებისა და ფაფრიანი ცხვრების ჩამოყვანა. თბილისის ზოოპარკი „ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის“ (EAZA) წევრობის კანდიდატია. წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ზოოპარკის ცხოველების კოლექციის განახლების გეგმა EAZA-ს მენტორთან მარიო ჰოდემეკერთან ერთად მომზადდა — შეირჩა ცხოველები, რომელთა ვოლიერების მშენებლობაც მინიმალური ხარჯით განხორციელდა. „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზოოპარკები აქტიურად არიან ჩართული თბილისის ზოოპარკის განახლების პროცესში. ცხოველების ჩუქების გარდა, ზოოპარკები სხვა მხრივაც გვეხმარებიან — ზაფხულში ჩვენმა თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები ბუდაპეშტის (უნგრეთი) ზოოპარკში, მემფისის, ახალი ორლეანისა და სენტ-ლუისის(აშშ) ზოოპარკებში,“ — აცხადებს თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე.

აღსანიშნავია, რომ ახალი ვოლიერები თანამედროვე ყაიდაზეა მოწყობილი: ცხოველებს მნახველებისგან არა ტრადიციული გისოსები ჰყოფთ, არამედ წყლით სავსე რამდენიმემეტრიანი არხები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სუსტი დენის ქსელში ჩართული ლითონის ბადეები, რაც ცოცხალ ბუნებასთან მეტი კონტაქტის შეგრძნებას ტოვებს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4466; ევრო - 2.7081;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0387;
100 რუბლი - 3.8342; თურქული ლირა - 0.7738;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4274;
1000 სომხური დრამი - 5.0918.

ამინდი 9 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +23
თბილისი:	ღამე +6,	დღე +19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE